# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№113 (9793) 2024 წლის 2 ოქტომბერი. ოთხშაბათი

ფასი 1 ლარი


## ამერიკასთან მტრობა სახიფათოა, მეგობრობა კი — დამღუპველი!




მე ვარ გოდერძი ჩოხელი, ქართველი, მინდა დაგიბრუნოთ სიცოცხლე...




## ...ასე უნდა გავერთიანდეთ 26 ოქტომბერსაც!

### „ქართული ოცნების“ დამფუძნებელმა და პარტიის საპატიო თავმჯდომარემ ბიძინა ივანიშვილმა 1 ოქტომბრის თარიღის მნიშვნელობიდან გამომდინარე გუშინ განცხადება გაავრცელა

**დღეს 1 ოქტომბერია...**

**თავისუფლების დაბრუნების დღე!**

დღე, რომელიც გამოხატავს ჩვენი ქვეყნის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში საქართველოს და ქართველი ხალხის უპრეცედენტო ერთიანობას. დღე, რომელიც გამოხატავს დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში მთავარ გამარჯვებას და ქართველი კაცის მიერ ღირსების დაბრუნებას!

2012 წლის 1 ოქტომბერი ჩვენი ისტორიის ერთ-ერთი მთავარი ქვაკუთხედია, ქართველი ხალხის არსებობის ერთ-ერთი მთავარი გამართლება, დღე, რომელიც ყველაზე უკეთ გამოხატავს ქართულ გენს და წინაპართა მემკვიდრეობას – რამდენად ძლიერიც უნდა იყოს მტერი, შიდა თუ გარე, როდესაც საქმე ჩვენი ხალხის ღირსებასა და თავისუფლებას ეხება, უკან დასახევი გზა უბრალოდ არ არსებობს!

ღირსება და თავისუფლება ქართველი კაცისთვის წითელი ხაზია, რუბიკონი, რომელიც არ უნდა გადალახო, მაგრამ თუ მაინც გაბედავ, რომ ამ მდინარეში შეცურო, ქართველი ხალხის, საქართველოს შვილების ერთიანობის ძალა წაგლეკავს!

1 ოქტომბერი არ ეკუთვნის რომელიმე პარტიას, რომელიმე ადამიანს, 1 ოქტომბერი ეკუთვნის ქართველ ხალხს, საქართველოს მოქალაქეებს, რომელთაც ამ საოცარი ერთიანობით, „ქართულ ოცნებასთან“ ერთად, ქვეყანას ჩამორეცხეს სამარცხვინო შავი ლაქა, რომელიც არ გვაძლევდა საშუალებას თავისუფლად ამოსუნთქვის, აზრის გამოხატვის, სიმართლისთვის ბრძოლის, ღირსეულად ცხოვრების, ოჯახსა და ახლობლებზე ზრუნვის, მუშაობის, ბიზნესის კეთების, განათლების მიღების და სიბერის ღირსეულად გატარების.

პატრიოტიზმი მხოლოდ იარაღით ხელში სამშობლოს დაცვა როდია, ყველაფერთან ერთად, ესაა გამბედაობა, რომ უსამართლობის წინააღმდეგ ყველაზე რთულ მომენტში აიმაღლო ხმა, სწორედ მაშინ, როდესაც ხმის ამოღებას ვერავინ ბედავს!

**ჩვენ გავბედეთ!**

შეუძლებელი შევძელით და თუკი 2011 წელს, პოლიტიკაში ჩემი მოსვლის მომენტში, ხალხს ქუჩაში გამოსვლის და შეკრებისაც კი ეშინოდა, 2012 წლის 29 სექტემბერს, როგორც მინიმუმ ნახევარი მილიონი პატრიოტი მოეფინა თბილისის ქუჩებს, რათა ყველასთვის გვეჩვენებინა, რომ არავის და არაფრის გვეშინია, 1 ოქტომბერს კი, ქუდზე – კაცი მივედით საარჩევნო ყუთებთან და არა მხოლოდ გადავრჩით, არამედ გავიმარჯვეთ!

ამ ერთიანობის ძალით შევძელით ბოროტების – სიკეთით, ხოლო სიცრუის სიმართლით, უსისხლოდ დამარცხება.

სწორედ ჩვენი ხალხის ამ უპრეცედენტო ერთიანობას ვერ აღუდგნენ წინ იმჟამინდელი რეჟიმი და მათი უცხოელი პატრონები!

ამიტომაც, ეს დღე ჩვენი სიამაყის საერთო საფუძველია! ნიშანი და სიმბოლო საქართველოს მოქალაქეების ერთიანობისა და ამ ერთიანობის ძალისა!


იხ. მე-2 გვ.


## ქართული ოცნება




## 12 წელი გამარჯვებიდან



ნუგზარ რუხაძე:




თემურ ქორიძე:

## ნაცხროვამ იცის, რომ მათი არჩევნებში გამარჯვება ყველაზე ბოროტი ზღაპრის სიუჟეტშიც ვერ ჯდება!



**ამ ერთიანობის ძალით შევძლით ბოროტების — სიკეთით, ხოლო სიცრუის სიმართლით, უსისხლოდ დამარცხება.**

# ასე უნდა გავერთიანდეთ 26 ოქტომბერსაც!

პირველი გვერდიდან

ეს დღეც ჩვენია, როგორც 26 მაისი, როგორც 9 აპრილი!

ამ ყველაფრისთვის სამშობლო თქვენი მადლიერია, მადლიერი ვარ მეც, როგორც თქვენი თანამებრძოლი, ქართველი კაცი!

**ვსარგებლობ დღევანდელი შემთხვევით და მადლობას ვუხდი „ქართული ოცნების“ თითოეულ წევრს, თითოეულ თანამებრძოლსა და მხარდამჭერს. მადლობა ყველას, ვინც პირველ ოქტომბერს ჩვენთან ერთად უშიშრად დადგა, გასული 12 წლის განმავლობაში, ჩვენთან ერთად ღირსეულად იარა დანაღმულ ველზე და გაუძლო ყველანაირ ზეწოლას, რათა დღეს ისევ ჩვენ გვერდით ყოფილიყო!**

2012 წლის 1 ოქტომბერს საქართველოს ისტორიის ჩარხი წაღმა დატრიალდა. არა მხოლოდ ავტორიტარული რეჟიმი დავამარცხეთ და ქვეყანა დავიბრუნეთ, არამედ, ამ დღიდან მოყოლებული, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, პრინციპულად გავაუმჯობესეთ მდგომარეობა ყველა სფეროში, ყველა მიმართულებით, იქნება ეს ადამიანის უფლებები, სასამართლო, ეკონომიკა თუ სხვა.

ამას არა მხოლოდ ჩვენი სიტყვა და ის კეთილდღეობა ადასტურებს, რასაც ჩვენი მოქალაქეები საკუთარ თავზე გრძნობენ, არამედ ამას მოწმობს საერთაშორისო რეიტინგები, რომლებშიც ჩვენი ქვეყანა წინ და წინ მიიწევს!

არ არსებობს თუნდაც ერთი სფერო, რომელზეც ყველაზე მიკერძოებული ადამიანიც კი იტყვის, რომ 2012 წლამდე იყო კარგად, ხოლო 2012 წლის შემდეგ გაუარესდა. ეს არის ფაქტობრივი მოცემულობა, რომლის დამალვას, დამახინჯებას და იგნორირებას ცდილობენ ჩვენი ოპონენტები, მაგრამ ქართველი ხალხი ყველაფერს ხედავს.

**1 ოქტომბერი არ ეკუთვნის რომელიმე პარტიას, რომელიმე ადამიანს, 1 ოქტომბერი ეკუთვნის ქართველ ხალხს, საქართველოს მოქალაქეებს, რომელთაც ამ საოცარი ერთიანობით, „ქართულ ოცნებასთან“ ერთად, ქვეყანას ჩამორეცხეს სამარცხვინო შავი ლაქა, რომელიც არ გვაძლევდა საშუალებას თავისუფლად ამოსუნთქვის, აზრის გამოხატვის, სიმართლისთვის ბრძოლის, ღირსეულად ცხოვრების, ოჯახსა და ახლობლებზე ზრუნვის, მუშაობის, ბიზნესის კეთების, განათლების მიღების და სიბერის ღირსეულად გატარების.**

ეს ხელშესახები პროგრესი, რასაც ყველა ვხედავთ, არა მხოლოდ ჩვენი მონდომებისა და ძალისხმევის, არამედ იმ ბეწვის ხიდზე სწორად სიარულის შედეგი გახლავთ, რომელზეც მთელი განვლილი 12 წლის განმავლობაში ვიარეთ და დღემდე ვაგრძელებთ სვლას.

დიახ, ბოლო დრომდე ვცდილობდით ამ თემაზე საჯაროდ არ გვესაუბრა, რათა მოსახლეობა არ დაგვეთრგუნა, მაგრამ 2012 წლის 1 ოქტომბრიდან მოყოლებული — დღემდე, საქართველოს და „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას ბეწვის ხიდზე უწევს სიარული, რათა გარე თუ შიდა მტრების მხრიდან მუდმივად რევოლუციების მოწყობისა და ქვეყნის არევის მცდელობის რეჟიმში, ქვეყანაში უწყვეტი მშვიდობა შევინარჩუნოთ და არ დავუშვათ ის, რაც ჩვენს მეზობელ უკრაინაში ხდება, ის, რაც 2008 წელს გამოვიარეთ. არ დავუშვათ, რომ ჩვენი ქალაქების, სოფლების და ჩვენი შვილების თავზე ცეცხლის წვიმა მოდიოდეს!

**საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ ამ ბეწვის ხიდზე სიარულისას, ბრძოლის მთავარი ხაზი გადიოდა ჩვენს დამოუკიდებლობაზე, მშვიდობაზე, თავისუფლებაზე, ჩვენი რწმენის, კულტურის, ისტორიის და იმ ღირებულებების დაცვაზე, რისთვისაც 2012 წლის 1 ოქტომბერს გავერთიანდით!**

ჩვენმა პოლიტიკურმა გუნდმა შეძლო, რომ ამ ბეწვის ხიდზე საქართველო და ჩვენი მოსახლეობა გამარჯვებით, 12-წლიანი უწყვეტი მშვიდობით ეტარებინა, და ახლა, როცა ამ რთული გზის ბოლო მონაკვეთს გავდივართ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ მთელ მსოფლიოს კიდევ ერთხელ ვაჩვენოთ ერთიანობის უპრეცედენტო მაგალითი და 26 ოქტომბრის არჩევნებზე ქუდზე-კაცი გამოვიდეთ, რათა ვერავინ ვერასდროს გაბედოს, რომ იოტისოდენა ეჭვი მაინც შეიტანოს „ქართული ოცნებისადმი“ საქართველოს მოსახლეობის მხარდაჭერაში. ვერავინ შეიტანოს მცირეოდენი ეჭვი იმაში, რომ საქართველოს მოსახლეობა ირჩევს არა ომს – არამედ მშვიდობას; არა უცხო ქვეყნის აგენტებს, არამედ ქართველი ხალხის ინტერესების დამცველ გუნდს; არა ფსევდო-ლიბერალურ ღირებულებებს, არამედ ეროვნულობაზე, ოჯახზე, რწმენასა და დამოუკიდებლობაზე დაფუძნებულ ფასეულობებს; არა იმ კატეგორიულად მიუღებელ მოცემულობას, რაც რადიკალურ ოპოზიციას და უცხოელ აქტორებს ევროპულობად სურთ რომ გაასაღონ, არამედ ჩვენი ქვეყნის ღირსეულ ევროპულ მომავალს!

**ამიტომაც, ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია, რომ 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე „ქართულმა ოცნებამ“ საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვოს.**

**საკონსტიტუციო უმრავლესობა იმისთვის, რომ:**

**ჯერ არაკონსტიტუციურად გამოცხადდეს, ხოლო შემდეგ კანონის მთელი სიმკაცრით გასამართლდეს კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობა“, რეჟიმი, რომელმაც საკუთარ მოსახლეობას ტერორი, მკვლელობა, წამება არ აკმარა და ომის ქარ-ცეცხლი დაატეხა თავს;**

**იმისთვის, რომ საქართველოს ჩვენი ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება მართავდეს და არა უცხო ძალების აგენტებით დაკომპლექტებული კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობა“;**

**იმისთვის, რომ ერთად ავისრულოთ დიდი ხნის ნატვრა და მშვიდობის გზით, შერიგებისა და ურთიერთშენდობის საფუძველზე, კვლავაც გაერთიანებული ვიხილოთ ჩვენი სამშობლო;**

**იმისთვის, რომ სამუდამოდ დავასრულოთ ოჯახის, ეროვნულობის, რწმენის შეურაცხყოფის და დაკნინების მუდმივი მცდელობები და მართლმადიდებლური ეკლესიის დამოუკიდებლობის, მისი გაძლიერების და დაცვის მიზნით, კონსტიტუციაში ავსახოთ მართლმადიდებლური ეკლესიის, როგორც საქართველოს სახელმწიფოს თვითმყოფადობის საყრდენის როლი!**

**ასე რომ, 26 ოქტომბერს, დღის წესრიგში არა პოლიტიკური სიმპათია-ანტიპათიის, არამედ საქართველოს ყოფნა-არ ყოფნის საკითხი დგას!**

**უფლისა და სამშობლოს წინაშე ვალდებულნი ვართ, რომ ჩვენს შვილებს, ჩვენს მომავალ თაობას დამოუკიდებელი და მშვიდობიანი საქართველო დავუტოვოთ, ამიტომაც 26 ოქტომბერს კვლავ უნდა გავერთიანდეთ და გავიმარჯვოთ!**

ჩვენი ერთადერთი გზა არის მხოლოდ მშვიდობით, ღირსებით და კეთილდღეობით ევროპისკენ!

გაუმარჯოს ერთიან, ძლიერ და გაბრწყინებულ საქართველოს!

**ბიძინა ივანიშვილი**

# ჰეგელის 35-ე საერთაშორისო საიუბილეო კონგრესი ტექნიკურ უნივერსიტეტში

**საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, პოსტსაბჭოთა სივრცეში პირველად, ჰეგელის 35-ე საერთაშორისო კონგრესი გაიხსნა, რომელიც ჰეგელის საერთაშორისო საზოგადოების ეგიდით, ყოველ ორ წელიწადში ერთხელ, რეგულარულად სხვადასხვა ქვეყანაში ტარდება.**

ჰეგელის წლევანდელი საერთაშორისო კონგრესი საიუბილეოა და მისი დაარსებიდან 70 წლისთავს ეძღვნება. საქართველო პირველი სახელმწიფოა, სადაც საბჭოთა კავშირის დაშლისა და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ აღნიშნული მაღალი რანგის მსოფლიო სამეცნიერო ფორუმი იმართება, ხოლო ტექნიკური უნივერსიტეტი ფორუმის პირველი მასპინძელი უმაღლესი სასწავლებელია საქართველოდან.




ჰეგელის 35-ე საერთაშორისო კონგრესი, თემით – **„სიკეთის იდეა და ზნეობრიობა ჰეგელის ფილოსოფიაში“,** ჰეგელის საერთაშორისო საზოგადოებისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით მიმდინარეობს. სამეცნიერო ღონისძიების ფინანსური მხარდამჭერები არიან ჰეგელის საერთაშორისო საზოგადოება, ასევე, ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა სამეცნიერო ფონდები და საქართველოს მთავრობა.

საერთაშორისო კონგრესი, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობენ ჰეგელის საერთაშორისო საზოგადოებისა და მსოფლიო მასშტაბით კლასიკური გერმანული ფილოსოფიის 250-მდე გამოჩენილი მეცნიერ-მკვლევარი, გახსნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა **დავით გურგენიძემ.** რექტორი კონგრესის მონაწილეებსა და მოწვეულ სტუმრებს მიესალმა და სამეცნიერო ფორუმის დაფუძნების საიუბილეო თარიღი მიულოცა.

როგორც რექტორმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, ჰეგელის საერთაშორისო კონგრესის საქართველოში ჩატარების ფაქტი უპრეცედენტო და რეზონანსულია და ზრდის არა მხოლოდ კვლევების ინტერნაციონალიზაციის პერსპექტივებს, არამედ მასპინძელი ქვეყნისა და უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაციის შესაძლებლობებს.

კონგრესის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს ჰეგელის საერთაშორისო საზოგადოების პრეზიდენტმა, პროფესორმა **მირიამ გერჰარდმა,** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა **ჯაბა სამუშიამ,** ჰეგელის საერთაშორისო საზოგადოების საპატიო პრეზიდენტმა, ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის პროფესორმა **ანდრეას არნდტმა,** ჰეგელის საერთაშორისო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტმა, ფილოსოფიის საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტმა, ზადარის უნივერსიტეტის პროფესორმა **იურე ზოვკომ,** ბონის რაინის ფრიდრიხ ვილჰელმის უნივერსიტეტის პროფესორმა **თეო კობუშმა,** კალიფორნიის უნივერსიტეტის (ბერკლი) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა **ნიკოლაუს ლარგიერმა,** ჰეგელის საერთაშორისო საზოგადოების სამეცნიერო საბჭოს წევრმა, პროფესორმა **ბრედი ბოუვენმა,** სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა **ივანე ჯაგოდნიშვილმა** და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორმა, ჰეგელის საერთაშორისო საზოგადოების სამეცნიერო საბჭოს წევრმა **მამუკა ბერიაშვილმა.**

ჰეგელის 35-ე საერთაშორისო კონგრესი 5 დღის განმავლობაში, 5 ოქტომბრის ჩათვლით, 8 სექციად იმუშავებს: სიკეთე და ზნეობრიობა: ლოგიკური, რელიგიურ-ფილოსოფიური და სახელმწიფოს თეორიული განზომილებები; სიკეთე და ზნეობრიობა ჰეგელის სულის ფილოსოფიაში და ბუნების ფილოსოფიაში; აღიარება, როგორც თავისუფლების განხორციელების პრინციპი; სუბიექტი, როგორც ლოგიკური ცნება: შედეგები სახელმწიფოსა და საზოგადოებისთვის; სიკეთე და ზნეობრიობა სამართლის ფილოსოფიური პერსპექტივიდან; ომი და საერთაშორისო ურთიერთობების პრინციპი ჰეგელის „სამართლის ფილოსოფიაში“; ჰეგელის ფილოსოფიის რეცეფცია საქართველოში და გერმანიის ფარგლებს გარეთ; ბუნება VS კულტურა სიკეთის იდეის კონტექსტში. კონგრესის მასალები ჰეგელის წელიწდეულში – **Hegel-Jahrbuch**-ში გამოქვეყნდება.

კონგრესის ფარგლებში, ასევე, დაგეგმილია კულტურული ღონისძიებები, რომლებიც სტუ-ის ადმინისტრაციულ შენობაში, ივანე ჯავახიშვილის დარბაზის სცენაზე გაიმართება.

# ამერიკასთან მტრობა სახიფათოა, მეგობრობა კი – დამღუპველი!




## ღია გაკვეთილი მხოლოდ ხელისუფლებისთვის

**არის ერთი ფრიად საყურადღებო ანდაზა, რომელიც აშშ-ის მეზობელ ქვეყნებში შეიქმნა დიდი და მწარე გამოცდილების საფუძველზე. აი, ისიც: აშშ-სთან მტრობა სახიფათოა, მასთან მეგობრობა კი - დამღუპველი!. ამ ჭეშმარიტებას ახლა აშშ-ის ახლო მეზობლები კი არა, ის გადამთიელებიც მიხვდნენ, რომლებსაც ნეოლიბერალური იდეოლოგიის, იგივე რეინკარნაციული ტროცკიზმისგან ტვინი არა აქვთ გალაყებული.**

ამერიკული დემოკრატია რომ ბრიყვების სატყუარაა, ანუ ანკესზე წამოგებული ჭიაყელა იყო, გონიერმა ადამიანებმა დიდი ხანია, იცოდნენ ეს. გასული საუკუნის 20-იან წლებში ვლადიმერ მაიაკოვსკიმ აშშ-ში იმოგზაურა და, ალბათ, ბევრს ახსოვს მისი ერთი, მაშინდელ შთაბეჭდილებებზე დაწერილი ლექსის სტრიქონები: **„მე ამერიკას დავხურავდი, გავწმენდდი ფრთხილად და ამის შემდეგ ხელმეორედ აღმოვაჩენდი!“**

ამერიკული დემოკრატია ვინ გაიგონა, ნეტავი?! ამერიკული მხოლოდ ძალადობა არსებობს და ეს ძალადობა ძალიან ჰგავს ბრძოლას წესების გარეშე! სწორედ ამერიკაში განხორციელდა რეალურად ძველისძველი ანტიკური შეგონება – **„რაც იუპიტერს ეპატიება, იმას ხარს არავინ აპატიებსო“.**

ამერიკის (იგულისხმება აშშ!) სახელმწიფოს ძალადობრივი საშინაო თუ საგარეო პოლიტიკა გენეტიკურად არის დაკავშირებული ევროპიდან ამერიკის კონტინენტზე გადასახლებულების



## მე ამერიკას დავხურავდი, გავწმენდდი ფრთხილად და ამის შემდეგ ხელმეორედ აღმოვაჩენდი!

**ვლადიმერ მაიაკოვსკი**

მიერ დაარსებული სახელმწიფოს ისტორიულ საფუძვლებთან.

ვინ იყვნენ ისინი, ევროპიდან ამერიკის კონტინენტზე ბედისა და ახალი საცხოვრისის საძიებლად რომ წავიდნენ? ისინი იყვნენ თავზეხელაღებული ცხადია, მამაცი ყაჩაღები (რომლებმაც შემდგომში „პრესტიჟული“ სახელი - განგსტერი დაირქვეს!), რომლებიც ცეცხლსასროლი იარაღებით იყვნენ აღჭურვილი. არავითარი სხვა არგუმენტი იმისა, რატომ მიადგნენ კარზე იქაურ ხალხს საარსებო სივრცისა და საშუალების მიღების სურვილით, ერთადერთი არგუმენტი მათთვის ,,კოლტი“ და თოფი იყო!

რის პოლიტიკა, რის დიპლომატია! ამერიკული ცივილიზაცია ჯერ არ იყო მისული ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებამდე, ამიტომ ევროპელ კონკისდატორებს (და არა რაინდებს!) დიდი უპირატესობა ჰქონდათ, ძალიან გამოიყენეს კიდეც!

ისეთი დაუნდობლობა რაც ევროპელმა კონკისდატორებმა ჩაიდინეს ამერიკის კონტინენტზე, არც მანამდე და არც მას შემდეგ სმენია კაცობრიობას. ეს იყო უღმრთოთა, უზნეოთა, სულით ხორცამდე სატანის მოთაყვანეთა შაბაში, რამაც ამაზრზენი და შემზარავი მაგალითები დაუტოვა მომავალს და იმის რწმენაც ჩანერგა შემდგომ თაობებში, რომ ადამიანი ყველა ცხოველზე უფრო უარესი ცხოველია!

პისტოლეტისა და თოფის ვირტუოზულმა მფლობელებმა შექმნეს ამერიკული სახელმწიფო და ძალადობის კულტი, დიქტატურა დაამყარეს. დიქტატურა საერთოდ ცუდი არ არის, თუ დიქტატორი გონიერებასა და ნიჭს იყენებს იარაღად, ასეთებიც ახსოვს კაცობრიობას: მაკედონელი, ცეზარი, კრომველი, ნაპოლეონი, სტალინი... ისინი დიდი საკაცობრიო, ცივილიზაციური პროგრესის მოთავეები იყვნენ, მაგრამ ამერიკელი მოძალადეები ცეცხლსასროლი იარაღის დიქტატორები იყვნენ, რომლებმაც თხუთმეტი საუკუნის წინ დასრულებული მონათმფლობელობა წარმატებით აღადგინეს ამერიკის კონტინენტზე, უფრო არაადამიანური და სასტიკი ფორმით.

მართალია, აბრაამ ლინკოლმა XIX (მეცხრამეტე!) საუკუნის 60-იან წლებში მონობა – რასიზმის ახალი ფორმა კანონით გააუქმა, მაგრამ იგი დღესაც აშშ-ის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის ფუნდამენტია.

ვისაც არ ახსოვს, რისთვის მოკლეს აშშ-ში ზანგების უფლებებისთვის მებრძოლი მარტინ ლუთერ კინგი, კონდოლიზა რაისის მემუარები მაინც წაიკითხოს, რომელიც სულ ახლახან აშშ-ის სახელმწიფო მდივანი იყო და დღესაც, ჩემი აზრით, კარგად და ჯანმრთელად არის.

სხვებისთვის დემოკრატიის ამ ,,მასწავლებელმა“ რამდენი პრეზიდენტი და პრეზიდენტობის კანდიდატი მოკლა ახლახანაც და ცოტა ადრეც, ჩამოთვლაც კი გამიჭირდება.

სხვათა შორის, ამ ჩვენს ტვინნაღრძობ ზოგიერთ ე.წ. პოლიტოკოსს, რომლებსაც აშშ სიკეთისა და წესრიგის ეტალონად მიაჩნიათ და რამდენჯერაც საკუთარი სისულელე არ გაუვათ, კეთილ ძია სემთან გარბიან საჩივლელად, უნდა შევახსენო (შევახსენო, თორემ ოდესმე იცოდნენ, რა!) დიდი ამერიკელი მოაზროვნის **ხოსე ორტეგა ი. გასეტის** ნათქვამი:

### ,,ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი ცივილიზაციური მიღწევების უკან ველური საზოგადოება იმალება“!

იქაური ჭკვიანი კაცის ნათქვამია ეს და ვიღაც „კაპიტან“ გიგაურზე, კუპონასა თუ ჭიჭე ვაშაძეზე მეტი ეცოდინება, ალბათ.

პატივცემულო ხელისუფლებავ, რაიმე არასწორად ვთქვი? მეთანხმებით? თუ ასეა, რატომ გეგონათ, ან ახლაც გგონიათ აშშ ჩვენი ქვეყნის მეგობარი და სტრატეგიული მოკავშირე? როგორ შეიძლება, მსოფლიო ბატონობის მოსურნე ვინმეს მეგობარი იყოს? არც ყოფილა და არც იქნება!

მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში საბჭოთა კავშირის მოკავშირე აშშ-ს, ომის შემდეგ საბჭოთა კავშირის ატომური ბომბებით განადგურების გეგმა ჰქონდა შედგენილი. დასაბომბი ქალაქების სიაში თბილისიც ,,საპატიო“ ადგილზე იყო!

ამ ბოლო ხანებში (აშშ-ს მსოფლიო ბატონობის ბოლოჟამია სწორედ!) „ქართული ოცნების“ ლიდერები ხშირად ამბობენ, ჩვენი სტრატეგიული მოკავშირის სრული თვითლუსტრაცია მოხდაო, რა ლუსტრაცია სჭირდებოდა, ნეტავი?

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, აშშ ასზე მეტ ქვეყანაში შეიჭრა ხელისუფლების დამხობისა და მისთვის სასურველი რეჟიმების დამყარების მიზნით. ბევრგან გამოუვიდათ, სადაც კარგად მომზადებული აგენტურა, ანუ შინაგამყიდველები ჰყავდათ, ზოგან სამარცხვინოდ ჩაფლავდნენ, მაგრამ ახლა, ამ ბოლო ჟამს ისევ გული მოიცეს, მაგრამ ნეოლიბერასტული შხამით მოწამლულთა გარდა, ყველა ხედავს ამას!.

ერთი ცნობილი უცხოელი პოლიტექსპერტი, ამას წინათ რიტორიკულ კითხვას სვამდა: ნეტავი, რა მოხდა, რომ დიდმა ნაწილმა პოლიტიკოსებისამ სირცხვილი დაივიწყესო! ეს პირველ ყოვლისა, ევროპა-აშშ-ს პოლიტიკოსებს ეხებათ. ისინი ისეთ, აშკარად არადიპლომატიურ, არაპოლიტიკურ უვიცობაზე დაფუძნებულ, მოკლედ, სულელურ განცხადებებს აკეთებენ, რომ სირცხვილის გრძნობა, მართლაც, აღარ ჰქონიათ და ეგ არის! თანაც ასეთ განცხადებას არა ვინმე რიგითი ჩინოვნიკები, არამედ ქვეყნის უმაღლესი პირები აკეთებენ.

აი, მაგალითი: ახლახან აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა სამსახურეობრივი მოვალეობის კარგად შესრულებისთვის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორი მაღალი თანამდებობის პირი დაასანქცირა, პარლამენტზე შტურმის მონაწილეთა წინააღმდეგ ფიზიკური ძალა რატომ გამოიყენეთო!

**მისტერ ბლინკენ! – მორიდებით შეგახსენებთ, – ვაშინგტონში კაპიტოლიუმში შეჭრილი თქვენი თანამოქალაქენი ადგილზე რომ დახვრიტეთ (5 ადამიანი), 200-მდე კი ციხეში გამოჰკეტეთ ხანგრძლივი ვადით, იგივე საქციელისთვის ჩვენმა პოლიციელებმა დუბინკა რომ გადაჰკრა ზურგზე მოძალადეს, ეს დასჯის ღირსია და თქვენ საკუთარ ხალხს მოფერებით დაუშინეთ ავტომატის ტყვიები? სირცხვილი არ იციან, ,,დაგენაცვლე“ თქვენში?**

ჩვენი ქვეყნის და აშშ-ს ურთიერთობა სტრატეგიული პარტნიორობა კი არა, ბატონყმური ურთიერთობაა, იცით ეს თქვენ, ძვირფასო ხელისუფლებავ, მაგრამ ის ვერ გავიგე, ვერც მე და ვერც სხვა ჩემმა საღად მოაზროვნე მეგობრებმა, ამით ის თუ გინდათ, რომ ბოროტ კაცებს მეგობარი და მოკავშირე დაარქვათ, არ გამოვა ეს... რა საიდუმლოება იცით ასეთი, რითაც მგელს კრავად გადააქცევთ, მაცოდინა ნეტავი!..

მე კი ისევ ამერიკასთან ურთიერთობის დიდი გამოცდილების მქონე ქვეყნების პრაქტიკის გათვალისწინებით, იმას გირჩევთ, რომ უკვე იმ თავხედობას ბედავენ (გაბედვა რაში სჭირდებათ!), რომ ფეხებზე იკიდებენ ჩვენს ღირსებას, ვინაობას და სადაურობას, რომ დროა, პირდაპირ და უშიშრად ვურჩიოთ ამ ,,დაუძინებელ“ მეგობრებს: ,,იანკი გოუ ჰოუმ!“ მათსავე ენაზე, რა თქმა უნდა, თორემ ჩვენებურად ერთი ათამდე სინონიმი ვიცი ამ ფრაზისა, რომელთა უმეტესობა ნამეტნავად ხორკლიანია! ამიტომ, მათსავე ენაზე ზრდილობიანად ვურჩიოთ – „**yankees go home!**“-თქო.

**ზურაბ ცუცქირიძე**
**პედაგოგიკის დოქტორი,**
**იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი,**
**ჰუმანური პედაგოგიკის რაინდი,**
**დიმიტრი ყიფიანის მედლის კავალერი.**
**ტელ: 555 56-75-37**



**P. S. ერთ რჩევასაც მოგცემთ და ამით დავამთავრებ ხელისუფლების მასწავლებლის უმადურ პროფესიას.**

**ეს ამდენი (უთვალავი) „ენჯეო“ რომ გააბაბანე საქართველოში, ვინ გირჩიათ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები საზოგადოებრივი ორგანიზაციებია და საზოგადოებრივ სექტორს წარმოადგენენო. საზოგადოება ირჩევს ხელსუფლების უმაღლეს ორგანოს, რითაც თავის უფლებების დელეგირებას ახდენს პარლამენტში. პარლამენტი ჩვენი ლეგიტიმური უფლებით ქმნის მთავრობას, სასამართლოს, სხვა სამართალდამცავი ორგანოებსა და მავან სტრუქტურებს. ჩვენ საზოგადოება არ ვართ? ამ. ე.წ. ენჯეოებს საკუთარი აგენტების თავშესაფრად ქმნიან უცხოელები და ამას დემოკრატიას ეძახიან და თქვენ უჯერებთ მათ? დაუჯერეთ და ა, ბატონო, ხედავთ ალბათ...**

**არც ერთ ღირსეულ, სუვერენულ და უაღრესად წარმატებულ ქვეყანაში „ენჯეოკრატია“ დღეს უკვე აღარ არის! მათი გავლენა ნულის ტოლია!**

**ეკონომიკურად ყველაზე წარმატებულ ჩინეთში კი – „ენჯეოებს“ არ აჭაჭანებენ!!!**

**ზ.ც.**

## ვემზადოთ 27 ოქტომბრისთვის!

# ნაცხროვამ იცის, რომ მათი არჩევნებში გამარჯვება ყველაზე ბოროტი ზღაპარის სიუჟეტშიც ვერ ჯდება!



**ამ დღეზე მეტია, ქართველი საზოგადოება ცდილობს ახსნას ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი ხელისუფლების ერთი ფრიად იაფფასიანი დიპლომატიური ავანტიურა — საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიწვევა საზეიმო შეხვედრაზე და მერე მოულოდნელად ამ მიწვევის გაუქმება. მოკლედ, პრეზიდენტმა ბაიდენმა პრემიერი კობახიძე ჯერ პურმარილზე რომ დაპატიჟა, მერე კი ეს მიპატიჟება უბოდიშოდ უკან წაიღო.**

მსგავსი მაგალითი მსოფლიო დიპლომატიის ისტორიაში ძნელი მოსაძებნია. მით უფრო, სრულიად უცხოა, გაუგებარია ქართული სტუმართმოყვრული მენტალიტეტისთვის. თუმცა მისი ახსნა ძნელი არ არის — „მეგობარმა“ აშშ-მა ამით კიდევ ერთხელ ამაყად დაგვანახა, რომ მას საქართველო, მისი ხალხი, ხელისუფლება, ისტორია და თანამედროვეობა არაფრად უღირს.

სიმართლე თვალში სინათლეო — „მეგობარ“ აშშ-ს, უპირველეს ყოვლისა, მთლიანად ქართული რადიკალური ოპოზიცია თვით ვაშაძე-გირჩიჯაფარიძე-ხაზარაძე-ელისაშვილის ჩათვლით, ფეხებზე კი არა, ბოდიში და, ერთ სათუთ და ინტიმურ ორგანოზე ჰკიდია — მას იგი სჭირდება, როგორც მოაზროვნე საქართველოს თავზე შემართული კომბალი. მერე კი ისე გათელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა.

**„მეგობრის“ მიზანი ნათელი და ერთადერთია — საქართველოზე სრული და ულტერნატივო კონტროლის დამყარება; ზუსტად ისეთი კონტროლისა, როგორიც საქართველოზე დაამყარა მერე საბჭოთა რუსეთმა.**

შეუძლებელია, ეს არ იცოდეს „მეგობარზე“ ფარისევლური თავდავიწყებით შეყვარებულმა ოპოზიციამ — იცის, მაგრამ გემრიელი ლუკმის ხელიდან გაშვება ენანება. მაშინაც კი, როცა დარწმუნებულია, რომ ეს ლუკმა ხვალ შხამად ექცევა. გულისგულში იმის იმედიც უჭიატებს, იქნება და, ჩემი წყალგაღმელი მეგობარი მოვაღოროო.

მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე ერთ თვეზე ნაკლები დრო რჩება. დღევანდელი მონაცემებით, გამარჯვებულის ვინაობა ქართველი საზოგადოებისთვის, მათ შორის, ოპოზიციისთვისაც, დღესავით ნათელია. საკითხავი მხოლოდ ის არის, რა ანგარიშით გაიმარჯვებს „ქართული ოცნება“ — უბრალო, თუ საკონსტიტუციო უმრავლესობით.

ეს იციან ქართველი რადიკალების გაქსუებულმა დასავლელმა „პარტნიორებმაც“. ამიტომაც უკვე კარგა ხანია შეხმატკბილებულად და დაუფარავად აცხადებენ — უნდა ვემზადოთ არა 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის, არამედ სახელმწიფო გადატრიალებისთვის არჩევნების შედეგების გამოცხადებისთანავე, 27 ოქტომბერს!

**იმედია, ერაყის, ლიბანის, სირიის, ლიბიის ან კოლუმბიის აგენტად არ მიმიჩნევთ, თუ მოკრძალებით გთხოვთ გაიხსენოთ, რა მოუტანა ამ და კიდევ ბევრ სხვა ქვეყანას „მეგობარი“ ამერიკის მითითებით და აშკარა მხარდაჭერით გაჩაღებულმა ძმათამკვლელმა სამოქალაქო დაპირისპირებებმა. უკრაინის მაგალითი ხომ ხელის გულზე გვიდევს.**

**იმედია, შეხსენება არ გჭირდებათ — გირჩი ჯაფარიძე ის „კაცია“, ვინც თავისივე სატელევიზიო გამოსვლის თანახმად, არის უღმერთო, პატივს არ სცემს ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას, პატრიარქს, საკუთარ მშობლებს, საჯარო ადგილებში ერ-** სისხლიანი სამოქალაქო დაპირისპირების ორგანიზატორობაზე დათანხმება მხოლოდ კოლექტიურ გირჩს შეუძლია.

ამ კოლექტივის ერთ-ერთი შთამბეჭდავი სახეა პარტია „ლელოს“ ბელადი მამუკა ხაზარაძე — ყოფილი აქტივისტი, ასი ათასობით თანამემამულის მძარცველი „ბიზნესმენი“, პოლიტიკას თავშეფარებული პათოლოგიური თაღლითი და ცრუპენტელა.

სწორედ ეს „კაცი“ ხვდება თანამემამულეებს, ესაუბრება მოქმედი ხელისუფლების „შეცდომებსა“ და „დანაშაულებზე“. პირდება, რომ მისი ხელისუფლებაში აღზევებისთანავე უცხოეთიდან მოიზიდავს მილიარდობით ევროს, ააშენებს ანაკლიის პორტს (რომლის აუშენებლობის გამოც გასამართლება ელის!), დაასაქმებს 200 000 ადამიანს, 1000 ლარამდე გაზრდის პენსიებს, გააუქმებს გადასახადებს...

ამ დღეებში ქართული ტელეარხებით გავრცელდა სიუჟეტი გიორგი ვაშაძის, გიგი წერეთლისა და სოფო ჯაფარიძის მონაწილეობით. ეს ყოვლად „ცნობილი და სახელგანთქმული“ სახეები დარბაზში შეკრებილ ორმოცამდე პენსიონერს სერიოზულად უმტკიცებდნენ, რომ ხელისუფლების სათავეში მისვლისთანავე (მისვლისთანავე!) ევროკავშირიდან საჩუქრად მიღებული 14 მილიარდი ევროს ხარჯზე გააორმაგებენ პენსიებს; პენსიონერების (ვეტერანების, შშმ პირების, სოციალურად დაუცველებისთვის) გააუქმებენ გადასახადებს და წამლის ფასებს სააფთიაქო სისტემაში; შემოიღებენ უფასო სამედიცინო მომსახურებას...

**სამაგიეროდ, სიტყვაც არ დაუძრავთ იმის თაობაზე, რომ ამ მითიურ 14 მილიარდ ევროზე საუბარია ჯერ კიდევ 2021 წლიდან; რომ ეს ფონდი გათვალისწინებულია ევროკავშირის შვიდი კანდიდატი ქვეყნისთვის (მოსახლეობის რაოდენობის შესაბამისად), მათ შორის 40-მილიონიანი უკრაინისა და 80-მილიონიანი თურქეთისთვის; რომ დღემდე არც ერთ ქვეყანას არაფერი მიუღია...**

სამაგიეროდ, ამ შეხვედრის ორგანიზატორმა უმანკო სახეებმა ზედიზედ რამდენჯერმე მიიღეს აპლოდისმენტები გაბითურებული პენსიონერებისაგან.

„ლიდერებსაც“ ეს უნდოდათ — მთელ საქართველოს, განსაკუთრებით, ამომრჩეველ პენსიონერთა 800-ათასიან არმიას დაანახეს, რომ სოლიდური ასაკის ადამიანები ოპოზიციის დაპირებებს ტაშით ხვდებიან.

ვაშაძე-წერეთელი-ჯაფარიძის ეს შეხვედრა, უბრალოდ, სამაგალითოდ მოვიყვანე, თორემ რადიკალური ოპოზიციის ყველა წარმომადგენელი, კოლექტიურად და ინდივიდუალურად, ზუსტად იმეორებს ამ „ტროიკის“ წინასაარჩევნო მეთოდს.

საყურადღებოა უკრაინაში მებრძოლი ქართველი „ბოევიკის“ (ნადიმ ხმალაძე)



გეგმა „მეგობარი“ საქართველოსთვისაც უმარტივესია — არჩევნების შედეგების გაყალბებულად გამოცხადება და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა. რა თქმა უნდა, გულუბრყვილო ახალგაზრდობის ხელით და მათივე სიცოცხლის ფასად.

ერთი შეხედვით თითქოს უცნაურია, რომ ამერიკელები სანქციებს უწესებენ ქართველ მოსამართლეებს, საკუთარი სიცოცხლის ფასად წესრიგის დამცველ პოლიციელებს და ამერიკაში ეპატიჟებიან გირჩ ჯაფარიძეს.

**„მეგობრის“ მიზანი ნათელი და ერთადერთია — საქართველოზე სრული და ულტერნატივო კონტროლის დამყარება; ზუსტად ისეთი კონტროლისა, როგორიც საქართველოზე დაამყარა მერე საბჭოთა რუსეთმა.**

**თოფა მასტურბაციით... ვინც ქართველ ახალგაზრდობას საჯაროდ მოუწოდებს ნარკოტიკების მოხმარებისაკენ და ასევე საჯაროდ, დაუფარავად იბრძვის ნარკოტიკული მცენარეების მოყვანა-რეალიზაციისა და მოხმარების ნებადართულობისთვის.**

„მეგობარი“ ამერიკელები სწორედ ამ არაკაცს ეპატიჟებიან ჭკუის საკითხავად.

* * *

**ეს** არ გახლავთ რაიმე სამწუხარო გაუგებრობა ან საბედისწერო შეცდომა — სახელმწიფო გადატრიალებისა და



## გეშინოდეთ ნადიმ ხმალაძის და გივია თარგამაძის მუქარის!..

ბოლოდროინდელი ხელახალი პოლიტიკური გააქტიურება და მუქარანარევი მოწოდებები სახელმწიფო გადატრიალების მიზნით შეიარაღებული რაზმების შესაქმნელად, 27 ოქტომბრისთვის სრულ მზადყოფნაში შესახვედრად.

მოდი, ბარემ ისიც გავიხსენოთ, რა აჟიოტაჟი მოჰყვა ჯერ კიდევ 2016 წელს საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე ავად ცნობილი გივი თარგამაძის მკვლელობის მცდელობისთვის გასამართლებული და 18-წლიანი პატიმრობამისჯილი დარჩო ხეჩუაშვილის დაკავებას.

იმედია, გემახსოვრებათ, რომ სააკაშვილის მეფობისას კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ეს თანამშრომელი 2012 წლიდან უკრაინაში გაიქცა. ოთხი წლის შემდეგ კი საქართველოში საიდუმლოდ დაბრუნდა და 2016 წლის 4 ოქტომბერს იმდროინდელი პარლამენტის წევრის, ნაცმოძრაობის ერთ-ერთი მაშინდელი „დიდი ლიდერის“, გივი თარგამაძის მკვლელობა სცადა.

ოპოზელადები მაშინაც და ახლაც სერიოზული სახით ამტკიცებენ, რომ თავის დროზე, დარჩო ხეჩუაშვილი ხელისუფლების დაკვეთით მოქმედებდა. ნაცოპოზიციის პოზიციიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მკვლელი თავის დროზე სწორედ ნაცების მითითებით მოქმედებდა და ახლა ამის გახმაურების ეშინიათ. გამორიცხული არც ისაა, იგი საქართველოში ახალი ტერორისტული აქტის მოსაწყობად მოეწვიათ.

ამ ტერორისტული აქტის სამიზნე იქნებოდა ვინმე რიგითი ოპოზელადი, რათა მერე ეს ვანდალური აქტი ხელისუფლებისთვის გადაებრალებინათ და ხალხისთვის სახელმწიფო გადატრიალებისკენ მოწოდება გაადვილებოდათ.

* * *

**„უკვე ძალიან ბევრჯერ ვთქვი და ბოდიშის მოხდით, კიდევ ერთხელ გავიმეორებ – არავითარი არჩევნები, ნაცების ხელისუფლებაში აღზევების ერთადერთი გზა არის სახელმწიფო გადატრიალება. ეს თვითონაც იციან და ამიტომაც საზოგადოებას გულმოდგინედ ამზადებენ ასეთი სცენარისთვის.**

**ძალიან ცდება, ვინც ფიქრობს, რომ მელია „პროსტო“ ხულიგანია, თაკო „პროსტო“ ერთი ჩერჩეტი ქალია, გვარამია „პროსტო“ არარაობაა, გრიგოლია „პროსტო“ ენაჭარტალა დედაკაცია... ესენი და კიდევ ძალიან ბევრი, სააკაშვილის თამადობით თვითონაც ემზადებიან და საზოგადოებასაც ამზადებენ სწორედ სახელმწიფო გადატრიალებისათვის, ნებისმიერ ფასად!**

**ახლა, 2003-სგან განსხვავებით, სახელმწიფო სტრუქტურები გაცილებით უფრო ძლიერი და ორგანიზებულია და „ვარდების“ ვარიანტი გამორიცხულია.**

**მაპატიეთ – არც ვაჭარბებ და არც ვინმეს შეშინებას ვცდილობ. ათი წლის წინათ ყავლგასულ ნაცებს უკან დასახევი გზა არ გააჩნიათ – პოლიტიკური სიკვდილის გარდა, მათ ჩადენილი დანაშაულების გამო სახელმწიფოს წინაშე დაგვიანებული პასუხისმგებლობა ელით...**

დიახ ნაცპარტიამ, მისმა სატელიტებმა შესანიშნავად იციან, რომ 26 ოქტომბრის არჩევნებში მათი გამარჯვება ყველაზე ბოროტი ზღაპრის სიუჟეტშიც კი ვერ ჯდება. მათი ერთადერთი იმედი წყალგაღმელი „მეგობრების“ დახმარებითა და აქაური უბირი საზოგადოების სასიკვდილოდ გამეტების ფასად სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაა.

**ახლა ყველაფერი ხელისუფლების სიბრძნეზეა.**

**სიბრძნესა და პრინციპულობაზე!**



**თეიმურაზ ქორიძე**



# საბოლოო გადაწყვეტილება სასამართლოს ხელშია!

## შალვა პაპუაშვილი: საქართველოს მთავრობამ, ჩვენმა საზოგადოებამ და უცხოელმა პარტნიორებმა ნდობა უნდა გამოუცხადონ ჩვენს სასამართლოს, როცა საქმე ენმ-ს აკრძალვას შეეხება

**გერმანიის წამყვანი პარტიების ინიციატივა, აკრძალონ პოლიტიკური პარტია „ალტერნატივა გერმანიისათვის“, რომელიც ხალხის მხარდაჭერით მეორეა, კარგად ასახავს პოლიტიკური მიკერძოების, შეიძლება ითქვას, ფარისევლობის იმ მასშტაბს, რომლითაც ზოგიერთი ჩვენი პარტნიორი დასავლეთის ქვეყნებში, გერმანიის ჩათვლით, საქართველოს მთავრობას ეპყრობა.**

**გერმანელმა სოციალ-დემოკრატებმა და მწვანეებმა, ზოგიერთ თანამოაზრე ოპოზიციურ პარტიასთან ერთად, გადაწყვიტეს მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს თხოვნით, აიკრძალოს „ალტერნატივა“ იმის საფუძველზე, რომ ეს პარტია ძირს უთხრის გერმანიის თავისუფალ დემოკრატიულ წესრიგს.**

**მსგავსი რამ სულაც არ არის უჩვეულო სხვა ქვეყნებისთვისაც. რამდენიმე წლის წინ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ 37 ევროპული დემოკრატიიდან 20-მა ქვეყანამ 50 პარტიაზე მეტი აკრძალა 1945-2015 წლებში. უკრაინამ, რამდენიმე წლის წინ, კომუნისტური პარტია აკრძალა, ახლახან კი დაშალა პარტიები, რომლებიც უკრაინის დემოკრატიას, დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას ემუქრებოდნენ. მოლდოვამ, კიდევ ერთმა აღმოსავლეთ ევროპულმა ქვეყანამ, ასევე აკრძალა ოპოზიციური პოლიტიკური პარტია „დემოკრატიული კონსტიტუციური წესრიგის მოახლოებული საფრთხის გამო“.**

**ჩვენ დავპირდით ამომრჩეველს, რომ 2024 წლის არჩევნებში გამარჯვების შემდეგ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის, როგორც პოლიტიკური პარტიის აკრძალვის მიზნით, საკონსტიტუციო სასამართლოს მივმართავთ.**

**დემოკრატიულ ქვეყნებში არსებული ანალოგიების მიუხედავად, ჩვენი ეს განზრახვა უცხოელმა პარტნიორებმა ფართოდ გააკრიტიკეს. და ეს ხდება იმის ფონზე, რომ ჩვენი სამართლებრივი ინიციატივა სრულად შეესაბამება კანონმდებლობას, გააჩნია პრეცედენტები დემოკრატიულ საზოგადოებებში და მოსახლეობის მხარდაჭერითაც სარგებლობს. სამართლებრივი პროცედურის დაწყება იმგვარი პოლიტიკური პარტიის ასაკრძალად, რომელიც კონსტიტუციას არღვევს, ნორმალური პროცესია ნებისმიერ დემოკრატიულ საზოგადოებაში. ამიტომაც, ეს ინიციატივა სწორედ ამ ჭრილში უნდა განვიხილოთ და არ გავიგოთ, როგორც კლიშედ ქცეული „დემოკრატიიდან უკანდახევა“ და „გადახვევა“, ტერმინები, რომლებსაც ჩვენი უცხოელი ოპონენტები გულუხვად იმეტებენ ქართულ პოლიტიკაზე საუბრისას.**

**ეს შემთხვევა კიდევ უფრო პარადოქსულია, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ გერმანული „ალტერნატივა“ არასოდეს ყოფილა ხელისუფლებაში. ლოგიკურად, მათი ერთადერთი სავარაუდო დანაშაული მათი რიტორიკა ან გეგმებია. მაშინ, როდესაც, საქართველოს შემთხვევაში, ენმ, მთელი ცხრა წლის განმავლობაში, ცნობილი იყო ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევით. სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, მაგალითად, დაადგინა, „ოჩიგავა საქართველოს წინააღმდეგ“ საქმეში, რომ საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ადგილი ჰქონდა „სისტემურ ძალადობასა და წამებას“,**

**37 ევროპული დემოკრატიიდან 20-მა ქვეყანამ 50 პარტიაზე მეტი აკრძალა 1945-2015 წლებში.**

**ანუ წინასწარი განზრახვით, შეგნებულად იყო შექმნილი სტრუქტურა ჩაგვრისა და დაშინებისათვის, მასობრივი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის გამოყენებით. ამგვარი მძიმე დანაშაულებისთვის ნაცმოძრაობის 40-მდე მაღალი თანამდებობის პირი გასამართლდა, მათ შორის თავად ყოფილი პრეზიდენტი სააკაშვილი, 1 ყოფილი პრემიერ-მინისტრი და 5 ყოფილი მინისტრი.**

**მეტიც, ოპოზიციაში ყოფნის დროსაც კი, ენმ გამუდმებით იმუქრება, რომ ამ ძალადობას კვლავ განაახლებს ოპონენტების მიმართ, თუ ოდესმე ხელისუფლებაში დაბრუნდება. როგორც ოპოზიციური პარტია, ენმ-მ სახელი გაითქვა, როგორც რადიკალურმა პოლიტიკურმა ძალამ, რომელიც გამუდმებით მოუწოდებს ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობისაკენ, თანაც არალეგიტიმური საშუალებებით და უარს ამბობს, აღიაროს ყოველი არჩევნების შედეგები 2012 წლიდან მოყოლებული. ამასთან ერთად, მისი წევრები მუდმივად აფრქვევენ ყველაზე ტოქსიკურ და მაპოლარიზებელ პოლიტიკურ რიტორიკას, დანარჩენ რადიკალურ პარტიებთან შედარებითაც კი.**

**საქართველოს კონსტიტუცია მკაფიო კრიტერიუმებს აწესებს პოლიტიკური პარტიის ასაკრძალად. კონსტიტუციაში ნათლადაა ნათქვამი, რომ „დაუშვებელია ისეთი პოლიტიკური პარტიის შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, ეთნიკურ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს. დაუშვებელია პოლიტიკური პარტიის შექმნა ტერიტორიული ნიშნით.“**

**როგორც ხალხს შევპირდით, არჩევნების მოგების შემდეგ, ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ნაბიჯი ენმ-ს ასაკრძალად სამართლებრივი პროცედურის დაწყება იქნება. ჩვენი კონსტიტუცია მკაფიო მითითებებს იძლევა ამ თვალსაზრისით: „პოლიტიკური პარტიის აკრძალვა შეიძლება მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით“. როგორც ნებისმიერ სხვა დემოკრატიულ ქვეყანაში, ჩვენს პარტიასაც აქვს კონსტიტუციით მონიჭებული უფლება, წამოიწყოს ეს სამართლებრივი დავა. თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილება სასამართლოს ხელშია.**

**საქართველოს სასამართლომ არაერთხელ დაადასტურა, რომ იგი კეთილსინდისიერი, პროფესიონალური და ობიექტურია. ეს დადასტურდა ბევრი ისეთი საქმის მაგალითზე, რომლებიც ჩვენმა ოპონენტებმა საკამათოდ გახადეს (მაგ. „რუსთავი 2“-ის, სააკაშვილის, გვარამიას, ახალაიას, მელიას და სხვა საქმეები). მართალია, ქართველ მოსამართლეებს ცილი დასწამეს, რომ პოლიტიკურად მიკერძოებულნი იყვნენ, მაგრამ სტრასბურგის ევროპულმა სასამართლომ ყველა ამ საკამათო შემთხვევაში ქართული სასამართლოს გადაწყვეტილება დაადასტურა.**

**უცხოელი პარტნიორების მიმართ ჩემი მოწოდება იქნებოდა, ფრთხილად მოიქცნენ ქართულ მართლმსაჯულებასთან დამოკიდებულებაში, რათა არ შეიქმნას აღქმა, რომ ისინი მართლმსაჯულებაში და, ამგვარად, დემოკრატიულ პროცესშიც ერევიან. ამიტომაც, საქართველოს მთავრობამ, ჩვენმა საზოგადოებამ და უცხოელმა პარტნიორებმა ნდობა უნდა გამოუცხადონ ჩვენს სასამართლოს, როცა საქმე ენმ-ს აკრძალვას შეეხება, რაც, ჩემი ღრმა რწმენით, ჩვენი პოლიტიკური სისტემის გაჯანსაღების დასაწყისი გახდება.**

## დავით ქართველიშვილი: სააკაშვილის „დემენციას“ ამოფარება ცუდი ჩანაფიქრი იყო



**„ხალხის ძალის“ წევრი დავით ქართველიშვილი საქართველოში მიხეილ სააკაშვილის მალულად შემოსვლის სამი წლისთავზე არსებულ ვითარებას ეხმიანება სოციალურ ქსელში და იმ მოლოდინების გაცრუებაზე წერს, რაც მის ჩამოსვლას მოჰყვა.**

„სააკაშვილის დაკავების მორიგი, მესამე წლისთავი 1 ოქტომბერსაა და ემთხვევა მისთვის და ნაცებისთვის ასეთ უიღბლო, წმინდა ბიძინას ხსენების დღეს. ვერც კორპორაციულად, ვერც პიროვნულად ვერ ლახავენ სათავისოდ ამ „მისტიკურ“ დღეს, როცა ბიძინა ჩოლოყაშვილთან ერთან ქართველები კიდევ ორი გმირის, წმინდა ქსნის ერისთავების – შალვას და ელიზბარის ხსოვნას აღნიშნავენ.

დღეს კი, იმ მესამე წლისთავის ხსენებაა, ბელადი უკრაინული არაჟნებით სავსე კონტეინერში რომ უკვე იყო კონტრაბანდულად მოთავსებული და შავი ზღვის ტალღებში მოცურავე ბორანზე მისგან უარყოფილ სამშობლოში ტრიუმფალური დაბრუნების გეგმებს აწყობდა. შეიძლება ამ დროს რუისის სასაფლაოს ცნობილი ეპიტაფიები ახსენდებოდა და მშობლიურ უკრაინას ასე ემშვიდობებოდა: „ჩაინიკს ასტყდა ემალი, გემშვიდობებათ ჯემალი“.

შეიძლება სულ ახალ შედევრებს ქმნიდა, მაგალითად ასეთს: „ადიდებულა დნეპრი და სულ წაუღია ქვიშა, აქ მოლოდინი ნაცებო, გემშვიდობებათ მიშა“. იმავე სამი წლის წინანდელ მოგონებებს განეკუთვნება ცნობილი „ცრუ-ვანგას“, რომან გოცირიძის ციტატა: „საკითხი მარტივად არის, სააკაშვილი მოდის და მიდის ციხეში, ქართველი ხალხი და საერთაშორისო პარტნიორები მას ციხეში დიდ ხანს არ დატოვებენ“.

ამ „მარტივად“ დასმულ საკითხს დრომ მარტივი პასუხი გასცა – ქართველმა ხალხმაც და საერთაშორისო პარტნიორებმაც ცალსახა დამოკიდებულება გამოხატეს „მომაკვდავი“ ბელადის მიმართ. ამ სამ წელიწადში მათ რიცხვს სტრასბურგის სასამართლო, მსოფლიოში განთქმული და ადგილობრივი „ისე რა“ ექიმები, საკუთარი თანამებრძოლები და ამომრჩეველთა დიდი ნაწილი დაემატა. ანუ ისინი, ვისაც მიშა „ყელში“ ამოუვიდა და მათ ის უბრალოდ „დაიკიდეს“.

**„ვივამედელი პაციენტი“ ყველაზე კარგი ალეგორიაა იმის, წლევანდელ არჩევნებზე თუ რა შედეგი ელის მის სექტას. „დემენციას“ ამოფარება ცუდი ჩანაფიქრი იყო. სიტყვამ მატერიალიზება იცის ხოლმე. დემენცია ხშირად „დავიწყებასთან“ თუ „სკლეროზთან“ ასოცირდება. ესეც ის გზაა, რასაც სექტა თავისთავად უკვე დაადგა. მაგრამ სიტყვასიტყვით ლათინურიდან დემენცია როგორც „სიგიჟე“, ისე ითარგმნება“ – წერს დავით ქართველიშვილი.**

## კვირის ციტატა



**ჩვენს მთავარ ამოცანად რჩება აფხაზ დებთან და ძმებთან ერთად ევროკავშირში შესვლა ჩვენი ღირსებით, ადათ-წესებით და ტრადიციებით!..**

**ლევან მგალობლიშვილი,**
აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე.

# ჟიული შარტავას ძეგლი ზუგდიდში

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ლევან მგალობლიშვილმა და ჟიული შარტავას შვილიშვილმა ზუგდიდში საქართველოს ეროვნული გმირის ჟიული შარტავას ბიუსტი გახსნეს. ამის შესახებ ინფორმაციას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ავრცელებს.**

მათივე ცნობით, ბიუსტი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოსა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით გაიხსნა.

ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს და სამშობლოს წინაშე ჟიული შარტავას ღვაწლსა და დამსახურებაზე ისაუბრეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ **ლევან მგალობლიშვილმა**, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ **ჯემალ გამახარიამ**, ჟიული შარტავას საზოგადოების თავმჯდომარემ **ვახტანგ ყოლბაიამ** და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერმა **მამუკა წოწერიამ**. ბიუსტის გახსნაზე ასევე, იმყოფებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების და საზოგადოების წარმომადგენლები.

„ბატონი ჟიული შარტავა ყველასთვის ცნობილი პიროვნებაა. ადამიანი, რომელმაც, ვიტყოდი, რომ გარდაცვალების შემდეგაც შექმნა ახალი ეპოქა და ამის დასტურია ქალბატონი ლიკას, მისი შვილიშვილის ჩვენს გუნდში ყოფნა, გაწევრება ჩვენს დიდ პოლიტიკურ ოჯახში. იმედი მაქვს, ჩვენ ერთად ყველაფერს გავაკეთებთ ბატონი ჟიულის სახელის უკვდავსაყოფად“, – განაცხადა ლევან მგალობლიშვილმა.

ჟიული შარტავას ბიუსტი „ეროვნული ერთიანობის ცენტრ – ჟიული შარტავას საზოგადოების“ ინიციატივით შეიქმნა.



# სისხლის უანგარო დონაციის აქცია

**საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია „სისხლის დონაციის ბანკის“ მიერ ორგანიზებულ სისხლის ჩაბარების აქციას შეუერთდა.**

გაღებული სისხლით შეივსება „სისხლის დონაციის ბანკის“ სარეზერვო მარაგი.

„მოხარული ვართ, რომ მთავრობის ადმინისტრაცია შეუერთდა სისხლის ბანკის მიერ ორგანიზებულ სისხლის ჩაბარების აქციას. ამით კიდევ ერთხელ გამოვხატავთ ზრუნვას ჩვენი მოქალაქეების მიმართ. მისასალმებელია, რომ ამ აქციას ბევრი თანამშრომელი შეუერთდა და არის ძალიან დიდი აქტივობა“, – აღნიშნა მთავრობის ადმინისტრაციის უფროსმა ლევან ჟორჟოლიანმა.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში მსგავსი აქცია პერიოდულად იმართება.

# აფხაზები პირდაპირ საუბრობენ იმაზე, რომ რუსებმა გაგვყიდესო!..

## შერიგებისა და მიტევების გარდა, არავითარი სხვა გზა, სხვა ხსნა არ გაგვაჩნია!

**ვინ როგორ გაიგო რუსთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება თბილისში, სადაც სერგეი ლავროვი აცხადებს, რომ „მოსკოვი მზადაა, დაეხმაროს საქართველოს, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს ურთიერთობების ნორმალიზების პროცესში, თუ ეს ქვეყნები თავად იქნებიან დაინტერესებული, მათ შორის თავდაუსხმელობის შეთანხმებების უზრუნველყოფის საკითხშიც“.**

**ლავროვი ამბობს, რომ საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება უბრალოდ, სამართლიანად აფასებს წარსულს.**



**„მათ თქვეს, რომ „სურთ ისტორიული შერიგება“, თუმცა რა სახით, რა ფორმით შეიძლება მოხდეს ეს შერიგება – ეს თავად ქვეყნებმა უნდა გადაწყვიტონ, აფხაზეთმაც და სამხრეთ ოსეთმაც. ისინი საქართველოს მეზობლები არიან, იქ გარკვეული კონტაქტები მაინც გარდაუვალია. თუ ყველა მხარის ინტერესი იქნება ამ ურთიერთობების ნორმალიზებაში, თავდაუსხმელობის შეთანხმებების უზრუნველყოფაში, ჩვენ, მხარეების დაინტერესების შემთხვევაში, მზად ვიქნებით, დავეხმაროთ“,** – აღნიშნა სერგეი ლავროვმა გაეროს გენერალური ასამბლეის 79-ე სესიის მაღალი დონის კვირეულის შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებას მმართველ გუნდში გამოეხმაურნენ და საპარლამენტო უმრავლესობაში ამბობენ, რომ შერიგების პროცესის პარალელურად, მნიშვნელოვანია, გარკვეული ძვრები მოხდეს დროებით ოკუპირებული ტერიტორიებიდან ჯარების გაყვანის საკითხთან დაკავშირებით. ამბობენ, რომ ეს თემა უნდა გახდეს მსჯელობის საგანი და დაიწყოს კონკრეტული სამოქმედო გეგმის მომზადება.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადების პასუხად, საქართველოს საპარლამენტო უმრავლესობაში აქცენტს აკეთებენ სახელისუფლებო გუნდის სამშვიდობო პოლიტიკაზე და აღნიშნავენ, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა მშვიდობიანი, შერიგების გზით უნდა აღდგეს.

ოპოზიციაში კი ლავროვის განცხადებას რიგით პროვოკაციდ აფასებენ. მათი თქმით, მსგავსი ტიპის განცხადებები განსაკუთრებულად საარჩევნოდ იჩენს ხოლმე თავს, რასაც მიზანმიმართულად აკეთებს კრემლი. ამით ქმნის ილუზიას, რომ თითქოს რაღაცა ნაბიჯები იდგმება კონფლიქტის მოსაგვარებლად.

კონფლიქტოლოგი **მამუკა არეშიძე** for.ge-სთან ამბობს, რომ გასაკვირი ლავროვის განცხადებაში არაფერი არ უნდა იყოს, რადგან რუსეთი თავის თამაშს თამაშობს. არეშიძე ამბობს, რომ კრემლი ახლა ცდილობს, ის ეჭვები, რომელიც სეპარატისტულ რეჟიმში გაჩნდა, ამ ფორმით გააქარწყლოს.

– აფხაზები პირდაპირ საუბრობენ იმაზე, რომ რუსებმა გაგვყიდესო. ზოგი რუსის მიერ გადადგმული ნაბიჯი, იქნება ეს ე.წ. სამხრეთ ოსეთის თუ აფხაზეთის მიმართ, ამის საფუძველს ნამდვილად იძლევა. ასეთი განწყობები რომ შეარბილონ, ამიტომაც გააკეთა ეს განცხადება ლავროვმა. ამის წინ კიდევ ჰქონდა ზახაროვას მსგავსი განცხადება გაკეთებული. ის, რომ რუსეთი ასე მარტივად ოკუპირებულ რეგიონებს არ დათმობს, ეს ყველამ უნდა გაიგოს. თუმცა მოსკოვში აფხაზების მიმართ გაღიზიანება ნამდვილად სერიოზულია. პოლიტოლოგ ტატიანა პოლოსკოვას ბოლო განცხადება ამას მოწმობს. რუსეთში ბევრი წონიანი ფიგურა საუბრობს იმაზე, რომ თუკი აფხაზებს არ უნდათ, წავიდნენ და საქართველოს შეუერთდნენ ისევო. ამის თაობაზე დუმის არაერთი დეპუტატი ამბობს, აი, პოლოსკოვამაც ასეთი რამ თქვა და თან დაამატა, რომ აფხაზები საქართველოში კონფედერაციის სახით უნდა დაბრუნდნენ, რადგან აფხაზების აღიარებაზე უარს ვერ იტყვიან. თუმცა ქართველებთან ყოფნაც გაუჭირდებათ, რათა ქართველები გენოციდზე მათ შეედავებიან, რაც რეალურად იყო. რუსებისგან მსგავსი განცხადება პირველად გავიგე. მე ამით იმის თქმა მინდა, რომ რუსულ პოლიტიკურ ელიტაში აფხაზების მიწასთან გასწორების ტენდენცია გამოჩნდა. აფხაზებიც რუსებზე ძალიან გაბრაზებულები არიან“, – ამბობს არეშიძე.



მისივე თქმით, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ-რუსულ კულუარებში ნაბიჯები ნამდვილად იდგმება იმისთვის, რომ ეს რეალობა შეიცვალოს და მიდის გარკვეული ძვრები, რათა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მოხერხდეს.

– ეს ფაქტი ჩანს და ზოგიერთი ნაბიჯი ჩემთვის ცნობილია. თავად აფხაზური ოპოზიცია ამაზე გაუთავებლად საუბრობს და ამბობენ, რომ ამაში ქართველებიც აქტიურად არიან ჩართულები. ეს საკმაოდ არეული ვითარებაა და მოცემულობა ისეთი ქაოტურია, რომ საქმეში ჩაუხედავი ადამიანისთვის დასკვნების გაკეთება რთულია. ამიტომაც ვამბობ, რომ ლავროვის განცხადება იქნება თუ სხვა, ეს არის გამოხმაურება იმ ვითარებაზე, რომელიც ხდება, მაგრამ ამ ტიპის განცხადებებით რუსეთი ხაზს უსვამს იმას, რომ ვითარების მაკონტროლებელი თავად არის. კი ბატონო, შესაძლოა, ეს ასევე რუსეთში ჩამოუყალიბებლობის ბრალია, მაგრამ არც ის გამოვრიცხოთ, რომ ესეც კრემლის პოლიტიკის ნაწილია. როგორც არ უნდა იყოს, ჩვენ ეს არხეინად და მშვიდად ყოფნის საშუალებას არ გვაძლევს“, - ამბობს არეშიძე.

* * *

**კონფლიქტოლოგი** და ყოფილი სახელმწიფო მინისტრი **პაატა ზაქარეიშვილი** for.ge-სთან ამბობს, რომ ამხელა დიპლომატის, ლავროვის მხრიდან მსგავსი განცხადება ცოტა გასაკვირია, რადგან გამოდის, რომ ამით რუსეთი „ოცნებას“ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესახებ იმედს არ აძლევს.



– ლავროვის განცხადება ასე ჟღერს, რომ კი ბატონო, ბოდიშს ვიღებთ, მაგრამ საქართველო უნდა შეეგუოს, რომ სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოები არიან. რუსეთი ცდილობს, დაანგრიოს მითი, რომელსაც „ოცნება“ ბოლო დროს აშენებს, რომ ჩვენ თითქოს ვპოულობთ საერთო ენას რუსეთთან. ლავროვი კი პირდაპირ ამბობს, რომ არანაირი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა არ მოხდება და აღიარეთ ისინი, როგორც თანაბარუფლებიან მეზობელ სახელმწიფოებად.

იხ. მე-11 გვ.

საქართველოს რესპუბლიკა

# ...შენ, მგონი, ამ ფილმში ილია ჭავჭავაძე გიშლის ნერვებს!



## დღეს, 2 ოქტომბერს, გოდერძი ჩოხელის დაბადების დღეა

**მწერალი ხომ იყო და იყო...**

**კინორეჟისორი ხომ იყო და იყო...**

**ბიჭად ბიჭიც ნემეტნავად კარგი იყო – სუფთა, უღალატო, გულიანი, თბილი...**

**ყურადღებიანი, მომფერებელი...**

თეატრალურში რომ სწავლობდა, ყველანი ყურადღებით იყვნენ გამსჭვალულნი მთიელი ბიჭისადმი...

რექტორი, ქალბატონი ეთერ გუგუშვილი, კინორეჟისორები ლანა ღოღობერიძე, მერაბ კოკოჩაშვილი... მაგრამ, განსაკუთრებული ღვაწლი მაინც ომარ გვასალიამ დასდო მისი, როგორც რეჟისორად და პიროვნებად ჩამოყალიბებას... აი, უფროსი ძმა რომ უპატრონებს მასზედ ძალიან უმცროსს, ისე ექცეოდა ომარი, თავადაც განსაკუთრებული კეთილშობილებით გამორჩეული კაცი.

* * *

**...დაოჯახების** გადაწყვეტილება, როგორც უფროს ძმობილს, „საიდუმლოდ“ გამანდო... ტელევიზიის სიძედ გახდომა მოინდომა – „მეორე ნახევრად“ ულამაზესი და უთბილესი ნინო მელაშვილი – ჩემი სტუდენტი და ტელევიზიის თანამშრომელი „შეარჩია“...

აი, იმ დროს კი „მთავარ პრობლემად“ წამოტივტივდა ის, თუ სად უნდა „წასულიყვნენ“ ახალდაქორწინებულნი...

ამ მომენტს ხაზგასმით იმიტომ ვიხსენებ, რომ ქვემოთ მოტანილ მოგონებებში გოდერძი ცოტა „მწყრალად“ იხსენებს დედაქალაქის ერთ, იმდროინდელ ხელმძღვანელს, რომელმაც „აღდგომის“ კოლექტიური ნახვისას სულ მცირე შენიშვნა „ჩაილაპარაკა“ თავისთვის და... ეტყობა, გოდერძი ნამეტნავად „გაფაციცებული“ გახლდათ და არცთუ სასიამოვნო მოგონებად დარჩა მისი რეპლიკა...

არადა, ის კაცი ღირსეულთა შორის ერთ-ერთი ღირსეული პიროვნება გახლდათ და მას ვერ დავუვიწყებ იმ ამაგს, გოდერძის დაოჯახებისას რომ გასწია ახლად გამოჩეკილ სიძეზე...

შევარდნაძესთან მივედი და გოდერძისთვის ბინის გამოყოფაში ვთხოვე დახმარება. თანაც დავამატე, „საჩუქრად“ არ მინდა, ტელერადიოკომიტეტს რომ ეკუთვნის, ეგებ, წინასწარ „მასესხონ“ და მერე გავისტუმრებ-მეთქი.

ზარი ქალაქის ხელმძღვანელთან – თენგიზ მენთეშაშვილთან სათანადო, ჩემი თხოვნის შესაბამისი შინაარსით... არ შევჩერდები დეტალებზე. მენთეშაშვილი კაცურად მოიქცა და... ახლად დაქორწინებული წყვილისთვის ძველ დიღომში ჩინებული ბინა გამოიყო. თანაც, მერე არც „ვალის“ დაბრუნება მოუთხოვია. თქვა, ღვთითბოძებულ ტალანტს ბინა ჰქონდეს საჩუქრად თბილის-ქალაქიდანო...



ქვემოთ გამოქვეყნებულ ფოტოზე გოდერძისა და ნინოს „ხელის მოწერის“' ცერემონიალია აღბეჭდილი. მაშინ ყველანი ერთობ ახალგაზრდები ვართ... მათ შორის გოდერძის მეჯვარეები ზვიად ნოდია და მე.

* * *

**...„რეპორტიორმა“** შარშან გოდერძი ჩოხელის ერთი მოგონება გამოაქვეყნა, რომელიც ადრე დასტამბული იყო „ქართული ტელეფილმისადმი“ მიძღვნილ საიუბილეო წიგნში. საინტერესო უნდა იყოს. ინებეთ:

**ნუგზარ ფოფხაძე**

## მე ვარ გოდერძი ჩოხელი, ქართველი, მინდა დაგიბრუნოთ სიცოცხლე...

**ასეთი სასაფლაოები ჩემ სოფელშიც იყო, დიდ ქვებს ადებდნენ, ზედ გამოქანდაკებული არის ქალი, კაცი. ქალი – საკერავი მანქანით ხელში, კაცი – გუთნით. ჩემ სოფელში იმდენი არ იყო ასეთი საფლავები, როგორც მეზობელ სოფელში – დუმაცხოში.**

ფოლკლორული ექსპედიცია იყო ჩამოსული. ზურაბ კიკნაძეც იყო იმ ექსპედიციაში და სხვები – ყველა არც მახსოვს. იმათ გავყევი. მოგვიწია ამ სასაფლაოების მხარეს გავლა. გაზაფხული იყო, თოვლი დნებოდა. საოცარი სანახავი იყო სასაფლაო. ზოგს, მაგალითად, საფლავის ნახატს თავი ჰქონდა ამოყოფილი, ზოგს ხარ-გუთანი უჩანდა, ზოგს – რა, ზოგს – რა. ისეთი ტილო იყო, ფიროსმანისა გეგონებოდა.

მაშინ პირველად გამიჩნდა სურვილი, – ამათზე დოკუმენტურ კინოს გადავიღებ-მეთქი. მერე გადაღება რომ დავიწყე, წავიკითხე წარწერები. ზოგი შენდობას ითხოვდა, ზოგი რას... ამ ეპიტაფიების გამო დამებადა იდეა, – რა მოხდება, რო გავესაუბრო-მეთქი. გავესაუბრო სიყვარულზე, სიძულვილზე... მაგ კუთხით დავიწყე გადაღება. თანდათან ეშხში შევედი. მომინდა, რო განმეზოგადებინა, ეროვნულ ხასიათში გადამეყვანა, სვეტიცხოველში შევსულიყავი. მერე მომინდა, რო დიდგორის ბრძოლა გადამეღო. მერე მომინდა, რო მთელი ჩვენი ისტორიის მანძილზე ვინც კი გვყოლია ბრძოლის ველზე დაცემული, ისინი ამოსულიყვნენ, იმათთან მელაპარაკა.

„აღდგომას“ გამოუჩნდა კრიტიკოსი – „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქტორი. მანამდე ჩემზე დადებითი რაღაცები ჰქონდა დაწერილი. და... როგორც ჩანს, იფიქრა, ასიამოვნებდა საბჭოთა ხელისუფლებას.

ამაზრზენი კრიტიკა დაწერა... ომარი მამშვიდებდა, მაგას ყურადღება არ მიაქციო, გამოჩნდებიან ისინიც, ვინც შენ კინოს გაიგებენო.

„აღდგომას“ ვიღებდით ჩოხში, გუდამაყარში – ლუთხუბში, მთიულეთის ხეობაში.

ერთი ეკლესია დგას იმ სოფელში. ზოგიერთი საფლავი ქართლის ხეობებშიც გადავიღე, ფასანაურშიც.

მთიულეთში შავოსანი ქალი მოვიდა. თურმე ჩემი თანაკლასელის საფლავს ვიღებდი, მე – არ ვიცოდი, იმისი დედა იყო. პურმარილი მოიტანა.

მიცვალებულები იქაურების გახმოვანებულია.

ვიღაცაზე ხომ უნდა დამემთავრებინა ფილმი... გმირები არ გვყავდნენ, რომლებსაც ილიას მერე ვახსენებდი... მოწოდებისათვის იყო ჩემი ყვირილი: სადა ხართ, არაგველებო! ვიხმობდი, საიქიოდან უნდა გამომეხმო, – გამოდით, კიდე ვიბრძოლოთ-მეთქი. ეს ფილმი ანტიკომუნისტური ხო იყო, ანტირუსულიც იყო თავისი შინაარსით...

პირველად ჩემმა პედაგოგმა ომარ გვასალიამ ნახა. ისე მოეწონა, გადაირია. წავიდა და ნუგზარ ფოფხაძეს აჩვენა: – ნახე, რა ფილმი გადავიღეთო. ნუგზარმა, – ვის გარეშეც ვერ გავუშვებთ, იმათ უნდა ვაჩვენოთო – ცეკაში წავიღოთო. ხო შეეძლო, სულ დაემალა ეს ფილმი. გაფრთხილებოდა თავის თავს.

ნუგზარს ჰქონდა ასეთი ვაჟკაცობა, რო „აღდგომა“ გამოეჩინა (მაგის დროს აჩვენებდნენ საზღვარგარეთულ ფილმებს, სეფიაშვილი გამოჰყავდათ და ათწუთიანი გინება ჰქონდა. ფილმს ლანძღავდა. სამაგიეროდ, მერე ხომ გადიოდა ის „ასაკრძალი“ ფილმი ეკრანზე!).

„აღდგომა“ რომ გადავიღე, 1981 წელი იყო და ეგეთი ფილმების გაშვებაზე ოცნებაც არ შეიძლებოდა. შეიძლება დავეჭირე კიდევაც.

შევარდნაძის დაბადების დღე ყოფილა იმ დღეს. ნუგზარ ფოფხაძეს უთქვამს, საჩუქარი მოგიმზადე და უნდა გაჩვენოო.

დამიბარა. წავედით მე და ნუგზარ ფოფხაძე. წავიღეთ „აღდგომა“. ცეკას კინოდარბაზში სხედან შევარდნაძე და სხვა ცეკას მდივნები.

– მოდი, მოდი, ჩემთან დაჯექიო, – დამიძახა...

მივედი და გვერდით დამისვა შევარდნაძემ.

დაიწყო „აღდგომა“: მე ვარ გოდერძი ჩოხელი, ქართველი, მინდა დაგიბრუნოთ სიცოცხლე... მინდა ცოტა ხნით საიქიოში წაგიყვანოთ, – ისმის ეკრანიდან... ჩუმად არიან. გატვრენილია ყველა. როგორია, ცეკას მდივნები საიქიოში წაიყვანეო!

ამ დროს მე ვფიქრობ: თუ არ დამიჭირეს, საერთოდ ამიკრძალავენ კინოს გადაღებას-მეთქი. რა უნდოდა ამ ფოფხაძეს, რას აიჩემა ფილმის ჩვენება-მეთქი. უცებ შეკითხვა რო დავიწყე მკვდართან და იმანაც რო მიპასუხა, შევარდნაძემ გაიცინა. გაიცინა შევარდნაძემო და გაიცინეს ცეკას მდივნებმა. მთელი ფილმი ასე იყო. აუტყდებოდა შევარდნაძეს სიცილი. განსაკუთრებით იცინა, მკვდარს რო ეუბნება, „ქარი ხო არსაიდან გიქშუტუნებსო“. ისინიც იცინიან. მერე ხო ფილმი ასე მთავრდება: ღირსეული გმირები ამოდიან და როგორც მართლა იყო, იქაც ილიაზე შეწყდა ყველაფერი... დღემდე ვთვლი, რომ ილიაზე შეწყდა დიდი ბრძოლა.

შევარდნაძემ უთხრა ცეკას მდივნებს: – აბა, ეხლა თქვენ გაარჩიეთ ეს კინოო. სოლიკო ხაბეიშვილი ადგა და თქვა, – თქვენი არ ვიცი, მაგრამ გოდერძი ჩოხელმა კომუნისტი კაცი დამარწმუნა, რო საიქიო არსებობსო.

ზოგმა რა თქვა, ზოგმა – რა. მენთეშაშვილი ადგა: ქალაქის საბჭოს მდივანი თუ თავმჯდომარე იყო. ის გადამეკიდა, – ილიაზე რატო მთავრდება ეს ფილმიო. დღეს ადამიანი აღარა გვყავსო, რომლის ხსენებაც შეიძლებაო. აქცენტი აქვს აღებული, რო ედუარდზე დავამთავრო. წავა-წამოვა, ვიღაცა რაღაცას იტყვის, ეს ისევ იმას მეუბნება. **ბოლოს, შევარდნაძე მიუტრიალდა და უთხრა, – შენ, მგონი, ამ ფილმში ილია ჭავჭავაძე გიშლის ნერვებსო.**

გაჩუმდა ეს კაცი. გაისუსა.

„აღდგომა“ იმავე საღამოს ტელევიზიაში გაუშვეს.

ატყდა ერთი ამბავი. ბაზარში რო შევიდოდი, ისე, უფასოდ მატანდნენ ყველაფერს. შენა, შვილო, საიქიო ალაპარაკე და ფულს როგორ გამოგართმევო, – მეუბნებოდნენ.

**არც ერთი ცეკას მდივანი ასე არ მოიქცეოდა. თავს გამოიდებდა, როგორ დავესაჯე...**

საქართველოს რესპუბლიკა
ეს უნდა იცოდეთ!
№113. ოთხშაბათი, 2 ოქტომბერი, 2024 წელი

# მსოფლიოში ყველაზე სახელგანთქმული სიცილიური




**საერთაშორისო ტერმინად ქცეული იტალიური სიტყვა Mafia ორგანიზებულ კრიმინალურ დაჯგუფებას ნიშნავს. ასეთ გაერთიანებას, სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა სახელი ერქვა: საბჭოთა კავშირში ქურდები, იაპონიაში იაკუძა, იტალიის რომელიღაც რეგიონში Camorra, სხვაში, „Ndrangheta“ და ასე შემდეგ. მათ შორის, ყველაზე სახელგანთქმული იყო სიცილიური Mafia, სახელად Cosa Nostra, რომლის პირდაპირი ქართული თარგმანია „ჩვენი საქმე“. თავად სიტყვა Mafia ყოყოჩობას ნიშნავს. ის, პირველად, 1863 წელს გაისმა იტალიაში, როცა ერთმა სიცილიელმა დრამატურგმა, სახელად, Giuseppe Rizzoto-მ პიესა დაწერა, რომლის მიხედვით ქალაქ პალერმოში ოპერეტა დადგეს, სათაურით, I mafiusi de la Vicaria – ვიკარიის ციხის მაფია.**

**Mafia, როგორც სოციალური მოვლენა, სიცილიაში წარმოიშვა და განვითარდა. სიცილია მხოლოდ 1861 წელს შეუერთდა იტალიას. ქვეყნის სხვა რეგიონებთან შედარებით, კუნძული მოწყვეტილი იყო სახელმწიფოს და, შესაბამისად, გაუცხოებული. იტალიური ენაც კი განსხვავებული იყო აქ. დღემდე ასეა! იტალიასთან გაერთიანებამდე, სიცილია ღარიბი ფეოდალური ქვეყანა გახლდათ. შერწყმამ კაპიტალიზმის განვითარებასა და ბურჟუაზიის აყვავებას მისცა ბიძგი.**


იტალიელი მაფიოზები ამერიკაში

რაც შეეხება სოფლის მეურნეობას, ის საკმაოდ განვითარებული იყო სიცილიაში. კუნძული დღესაც ცნობილია ფორთოხლისა და ლიმონის პლანტაციებით. რადგან იმ დროს სიცილიის სახელმწიფო სტრუქტურები სუსტი იყო, მდიდარი ფერმერები, საკუთარი თავისა და პლანტაციების დასაცავად, კერძო შეიარაღებულ ჯგუფებს ქმნიდნენ. სწორედ აქედან იღებს საწყისს **Mafia.**

დაცვის წევრებისგან იქმნებოდა კრიმინალური ჯგუფები, რომელიც რეკეტით შოულობდა ფულს. რეკეტისგან დასაცავ თანხას **Pizzo** ერქვა. პირველი **Mafia** დაბებსა და სოფლებში გაჩნდა. მე-19 საუკუნის ბოლოს, **Mafia**-მ სიცილიის ქალაქებსა და საზღვაო პორტებში მოიკიდა ფეხი, სადაც უფრო მეტი ფული იშოვებოდა. ცნობილმა სიცილიურმა **Mafia**-მ, **Cosa Nostra**-მ, პალერმოს პორტის კონტროლით დაიწყო მოღვაწეობა და, ბოლოს, ყველა სფეროში მოიკიდა ფეხი. **Mafia** ყველაზე დიდ ფულს სამშენებლო საქმეზე, გადაზიდვებსა და სამორინე-ბიზნესზე კონტროლის დაწესებით შოულობდა. სიცილიური **Mafia**, **Cosa Nostra**, წლების განმავლობაში, უძლიერეს კრიმინალურ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა, რომელიც ჯგუფებისგან, იგივე, ოჯახებისგან შედგება. თითოეულს თავისი განკუთვნილი ტერიტორია ებარა, რაც, შეიძლება, ქალაქის უბანი, მთელი ქალაქი ან რაიონი ყოფილიყო. ოჯახები, თავის ტერიტორიაზე, კრიმინალური მოღვაწეობის სუვერენიტეტს ფლობდნენ და სხვა ოჯახს არ ჰქონდა მათ ტერიტორიაზე მოქმედების უფლება. თავად **Cosa Nostra** კონფედერაციული სახელმწიფოს მსგავსი წარმონაქმნია, რომლის წევრები ოჯახებია. თავის მხრივ, თითოეულ ოჯახს მკაფიო იერარქიული სისტემა აქვს, და ეგრეთ წოდებულ ნათლიას ანუ **Padrino**-ს ექვემდებარება. **Padrino**-ს ან **Don**-ს გვერდით მისი მარჯვენა ხელი **Consigliere**, ანუ მრჩეველი უდგას. ოჯახის ბოსს ექვემდებარება რამდენიმე ბანდა. ცალკეული ბანდის უფროსია **Capo,** ანუ თავი, და მათი ყველას უფროსი, **Capo-di-tutti-capi**, ანუ ყველა თავთა თავი. უბრალო შემსრულებლებს **Soldati**, ანუ ჯარისკაცები ჰქვიათ. **Cosa Nostra**-ს საკუთარი დაუწერელი კოდექსი აქვს, რომელსაც **Mafia**-ს ყველა წევრი მკაცრად უნდა იცავდეს. **Mafia**-ს მთავარი წესია **Omerta** ანუ დუმილი, რაც გაუცემლობას ნიშნავს. ამ წესის დამრღვევი სიკვდილით ისჯება. 1922 წელს, როცა იტალიის სათავეში ფაშისტები მოვიდნენ, მათმა ლიდერმა, **Benito-Mussolini**-მ მაფიას დაუნდობელი ომი გამოუცხადა. მუსოლინიმ პალერმოს პრეფექტად პოლიტიკოსი **Cesare-Mori** დანიშნა, რომელმაც მაფიასთან საბრძოლველად მუსოლინისგან კარტ-ბლანში მიიღო. **Mori** და მისი ამალა, კანონის უხეში დარღვევით, სიცილიის მაფიისგან გაწმენდას შეუდგნენ. ბანდის წევრი რომ ვერ დამალულიყო, მძევლად მისი ახლობლები აჰყავდათ. **Mori** არც ქალებს და ბავშვებს ინდობდა. ათასობით ეჭვმიტანილი დააპატიმრეს. ბრძოლის ასეთმა რადიკალურმა ხერხებმა თავისი შედეგი გამოიღო. სიცილიური **Mafia,** პრაქტიკულად, განეიტრალდა. ბევრი გაიქცა ქვეყნიდან და ამერიკას შეაფარა თავი. ნაწილი არალეგალური ცხოვრების გზას დაადგა. სიცილიური **Mafia**-ს ხელახალი აღზევება 1943 წელს დაიწყო, როცა ამერიკის სამხედრო ძალებმა სამხრეთი იტალია დაიკავეს. **Mafia**-ს დახმარებით, ამერიკელმა გენერლებმა სამხრეთი იტალია მინიმალური დანაკარგებით აიღეს. არაოფიციალურად, მათ ამაში ცნობილი იტალო-ამერიკელი მაფიოზი **Lucky Luciano** დაეხმარა. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, **Cosa Nostra**-მ მკვიდრად მოიკიდა ფეხი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ომით გაპარტახებულ ქვეყანას, მაშინ, პოლიტიკური კადრები აკლდა. **Mafia**-ს კი, ნაცნობების ფართო წრე ყავდა, რომლის მეშვეობით ის თავისი წევრების პროტეჟირებას ახერხებდა. მაგალითად, 50-60-იან წლებში, სიცილიის ზოგიერთი ქალაქის მერად **Mafia**-ს წევრი ინიშნებოდა. 60-იან წლებში, მაშინდელი მმართველი პარტიის, ქრისტიან-დემოკრატების, მჭიდრო ურთიერთობა დაიწყო მაფიასთან. იტალიის მმართველი ელიტის მთავარი შიში იტალიის კომუნისტური პარტიის გაძლიერება იყო. კომუნისტებთან ბრძოლაში კი, მათ მაფია ეხმარებოდა. ასე და ამგვარად, **Cosa Nostra**-მ იტალიის უმაღლეს მმართველობაშიც შეაღწია. ცნობილი პოლიტიკოსებით ზურგგამაგრებული **Mafia** მოწინააღმდეგეებს არ ინდობდა. **Mafia**-ს მსხვერპლნი იყვნენ ცნობილი პოლიტიკოსები, ჟურნალისტები, იუსტიციისა და პოლიციის თანამშრომლები. ყველაზე გახმაურებული მკვლელობები 1982 და 1992 წელს მოხდა.


ჯულიო ანდრეოტი

ამ ორ ტრაგიკულ ინციდენტზე არაერთი წიგნია დაწერილი და ფილმია გადაღებული. **Cosa Nostra**-მ „კარაბინერის“, ანუ იტალიის პარამილიტარული პოლიციის ცნობილი გენერალი კარლო ალბერტო დალა ჩიესა მოკლა. **სიცილიას, მაშინ, მთლიანად აკონტროლებდა მაფია.** მასთან საბრძოლველად, იტალიის მთავრობამ გენერალი **Dalla-Chiesa** პალერმოს პრეფექტად დანიშნა და მას დიდი უფლებები მიანიჭა. დანიშვნიდან ზუსტად ოთხ თვეში, პალერმოს ერთ-ერთ მთავარ მოედანზე, საღამოს, **Mafiam Dalla-Chiesa** ცოლთან ერთად ჩაცხრილა. მეორე მკვლელობა **Mafia**-სთან მებრძოლ გამომძიებელსა და პროკურორს ჯოვანნი ფალკონეს ეხება. მან თავის კოლეგასთან, პაოლო ბორსელინოსთან ერთად იტალიის სამართალდამცავ სტრუქტურებში **Mafia**-სთან მებრძოლი ჯგუფი შექმნა, რომელმაც **Mafia**-ს არაერთი ბოსის დაპატიმრება შესძლო, რის გამოც, **Mafia**-მ ორივე პროკურორი მოკლა. 1992 წლის 23 მაისს, **Falcone**, მეუღლესთან და დაცვასთან ერთად, რომიდან პალერმოში ჩავიდა. პალერმოს აეროპორტიდან ქალაქის ცენტრისკენ მიმავალი გზა კი, **Cosa Nostra**-მ დანაღმა. ჯოვანი ფალკონე და მისი თანხმლები პირები საშინელი აფეთქების შედეგად დაიღუპნენ. ოდნავ მოგვიანებით, **paolo Borselino** მოკლეს. პროკურორების მკვლელობამ იტალიაში დიდი რეზონანსი გამოიწვია და ქვეყანა, პრაქტიკულად, პოლიტიკურ კრიზისამდე მიიყვანა. მოსახლეობა მკვლელობების გამოძიებას ითხოვდა. მთავრობას დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს შექმნა მოუწია, რომელმაც ყველაფერს ნათელი მოჰფინა. გაირკვა, რომ ზოგიერთი ცნობილი პოლიტიკოსი, მათ შორის, ექსპრემიერ-მინისტრი ჯულიო ანდრეოტი თურმე, **Mafia**-სთან თანამშრომლობდა, რამაც პარტიაში მძიმე კრიზისი გამოიწვია. შედეგად, თანამდეროვე იტალიის დამაარსებლის, **Francesco D Gasperi**-ს ქრისტიანული დემოკრატიის პარტია 1994 წელს დაიშალა. სპეციალურმა საგამოძიებო სამმართველომ, ორგანიზაციის არაერთი ბოსი დაიჭირა და გაასამართლა. **Giovanni Falcone**-ს შექმნილ ანტიმაფიას მისი სახელი უწოდეს. ასევე, პალერმოს აეროპორტი **Falcone**-ს და **Borsellino**-ს სახელობის აეროპორტი გახდა.


ჯოვანი ფალკონე და პაოლო ბორსელინო



**ნუგზარ ბ. რუხაძე**
**POSTV**

# რომის პაპმა მხარეებს ცეცხლის შეწყვეტისკენ მოუწოდა



**რომის პაპმა ფრანცისკემ ომის მონაწილე მხარეებს ლიბანში, ღაზაში, პალესტინასა და ისრაელში ცეცხლის შეწყვეტისკენ მოუწოდა.**

„მე ვთხოვ ყველა მხარეს, დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ცეცხლი ლიბანში, ღაზაში, პალესტინასა და ისრაელში. მძევლები უნდა გაათავისუფლონ და ჰუმანიტარული დახმარება უნდა შეუშვან“, – განაცხადა რომის პაპმა.

ფრანცისკემ აღნიშნა, რომ ლიბანში კონფლიქტის ესკალაციას ღრმა შეშფოთებით ადევნებს თვალს.

„ლიბანი შეტყობინებაა, მაგრამ ამ მომენტში ესაა შეტყობინება, რომელიც იხლიჩება“, – აღნიშნა მან.

# ისრაელი ლიბანში სახმელეთო ოპერაციას გეგმავს!

**ისრაელმა ლიბანში შესაძლოა სახმელეთო ოპერაცია დაიწყოს. როგორც ისრაელის თავდაცვის მინისტრმა სამხედრო მოსამსახურეებთან შეხვედრის დროს განაცხადა, ლიბანში „ჰეზბოლას“ პოზიციების წინააღმდეგ საჰაერო, საზღვაო და სახმელეთო ძალებს გამოიყენებენ. ჯარისკაცებთან საუბრისას იოავ გალანტმა აღნიშნა, რომ ისრაელის ჩრდილოეთში მოსახლეობის უსაფრთხოდ დაბრუნებისთვის მათ ხელთ არსებული ყველა რესურსი უნდა გამოიყენონ.**

თავდაცვის მინისტრის განცხადებით, „ჰეზბოლას“ ლიდერის ლიკვიდაცია სერიოზული ნაბიჯია, თუმცა ყველაფერი წინ არის.

„ჰეზბოლას“ ხელმძღვანელის მოადგილე აცხადებს, რომ ისრაელის მხრიდან სახმელეთო ოპერაციის დაწყებისთვის დაჯგუფება მზად არის.

# ნორვეგია რუსეთთან საზღვარზე ღობის აშენებას აპირებს...

**ნორვეგიის ხელისუფლება განიხილავს რუსეთთან საზღვარზე ისეთივე ღობის აშენების შესაძლებლობას, როგორც ფინეთში შენდება, განაცხადა ნორვეგიის იუსტიციის მინისტრმა ემილი ენგერ მეჰლმა.**

მინისტრის განცხადებით, შესაძლოა, ღობე აღიმართოს რუსეთთან მთლიანი 198-კილომეტრიანი სახმელეთო საზღვრის გასწვრივ, ან მის ნაწილზე.



„ეს სასაზღვრო ღობე ძალზე მნიშვნელოვანია, არამხოლოდ იმიტომ, რომ მას შეუძლია შემაკავებელი ფაქტორი გახდეს, არამედ იმიტომაც, რომ შეიცავს სენსორებსა და ტექნოლოგიას, რომელსაც შეუძლია დაადგინოს, უახლოვდება თუ არა ხალხი საზღვარს“, – თქვა მინისტრმა.

მინისტრის განცხადებით, ოსლო ასევე განიხილავს სხვა ზომებს, მათ შორის მესაზღვრეების რაოდენობის გაზრდას და კონტროლის გაძლიერებას ერთადერთ საავტომობილო გამშვებ პუნქტ სტორსკოგზე.



# მყინვარის დნობამ ორი სახელმწიფოს საზღვარი შეცვალა

**კლიმატის ცვლილებით გამოწვეული მყინვარების დნობის გამო, შვეიცარიამ და იტალიამ საზღვრის ნაწილი ხელახლა გაავლეს!**

**BBC**-ს ცნობით, საზღვრის დიდ ნაწილს მყინვარები წარმოადგენს, მაგრამ მათი დნობის გამო, ბუნებრივი საზღვარი შეიცვალა, რის გამოც ორივე ქვეყანაში სასაზღვრო ზოლის გადახედვა მოინდომეს. კერძოდ, საუბარია მატერჰორნის მთის მახლობლად მდებარე რეგიონზე.

მხარეები აცხადებენ, რომ საზღვრის დაზუსტება ორივე ქვეყანას დაეხმარება, გაარკვიონ, ვინ არის პასუხისმგებელი კონკრეტული ბუნებრივი არეალების დაცვაზე.

შვეიცარიამ ახალი საზღვრები ოფიციალურად აღიარა და ახლა შესაბამის ნაბიჯს იტალიისგან ელოდება, რომელიც ტექნიკურ პროცედურებს გადის.

# განცხადება

## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს თამარ ოსიაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** თამარ ოსიაშვილი (პ/ნ 40001032266), სიღნაღი, სოფელი საქობო, პირველი ქუჩა №72

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
სიღნაღი, სოფელი საქობო, პირველი ქუჩა №72 (საკადასტრო კოდი: 56.03.56.169)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 22196.51 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 1 ოქტომბერი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 15 ოქტომბერი, 14:00 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP102159524;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 1021595

**6. მოვალე:** თამარ ოსიაშვილი (პ/ნ 40001032266), სიღნაღი, სოფელი საქობო, პირველი ქუჩა №72; ტელ: 599746147;
ილია მაწიაშვილი (პ/ნ 40801042159), სიღნაღი, სოფელი საქობო; ტელ: 571125243

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

**8. აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP102159524; ლოტის ნომერი: 1021595).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 15 ოქტომბრის 12:00 საათამდე.

# განცხადება

## აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ნანა ქებაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნანა ქებაძე (პ/ნ 47001002119), ახალციხე, ს. აწყური

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ყაზბეგი, გორისციხეს ადმ. ერთეული, კვარტალი 13, ნაკვეთი 929 (საკადასტრო კოდი: 74.04.13.929)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 105418.51 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2024 წლის 1 ოქტომბერი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2024 წლის 15 ოქტომბერი, 14:15 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP102159924;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 1021599

**6. მოვალე:** ნანა ქებაძე (პ/ნ 47001002119), ახალციხე, ს. აწყური;
გივი ქებაძე (პ/ნ 47001039704), ახალციხე, ს. აწყური

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

**8. აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP102159924; ლოტის ნომერი: 1021599).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2024 წლის 15 ოქტომბრის 12:00 საათამდე.

◉ გვიმრავლოს!

# სპორტული კომპლექსი ახალციხეში!

**„აქტიურად მიმდინარეობს ქალაქ ახალციხის სპორტკომპლექსის სამშენებლო სამუშაოები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია რეგიონში ჯანსაღი ცხოვრების წესის მხარდაჭერისთვის. ახალციხის ისტორიაში ეს იქნება პირველი სპორტკომპლექსი, რომელშიც განთავსდება 2 საცურაო აუზი. ძირითადი აუზი განკუთვნილია, როგორც სინქრონული ცურვისთვის, ასევე წყალბურთისთვის. მოზარდებისთვის და ბავშვებისთვის შენდება მცირე აუზიც,“ — განაცხადა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ირაკლი ქარსელაძემ ქალაქ ახალციხეში სპორტკომპლექსის სამშენებლო სამუშაოების დათვალიერების შემდეგ.**

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, ქალაქ ახალციხეში თანამედროვე სტანდარტის სპორტული კომპლექსის მშენებლობა გრძელდება. ახალი სპორტული კომპლექსი მოიცავს დიდ და მცირე საცურაო აუზებს, ტრენაჟორების, ძალოსნობის, კრივის და ჭიდაობის დარბაზებს. თითოეულ დარბაზსა და აუზს აქვს საკუთარი გასახდელები და საშხაპეები. პროექტი, ასევე, ითვალისწინებს სივრცეებს ღია კაფესა და სპორტული ინვენტარის მცირე მაღაზიისთვის. სპორტკომპლექსის მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყობა ავტოსადგომი. სპორტული კომპლექსი სრულად იქნება ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის.

მინისტრის განცხადებით, სპორტკომპლექსის სამშენებლო სამუშაოების 90% დასრულებულია, მიმდინარეობს საინჟინრო ქსელების გამართვა და მონტაჟი. წლის ბოლოს სპორტკომპლექსი გადავა სატესტო რეჟიმზე და მზად იქნება შემდგომი ექსპლუატაციისთვის.

**„მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული კომპლექსი ხელს შეუწყობს სხვადასხვა სპორტული სახეობების განვითარებას. თანამედროვე სტანდარტების შესაბამის დარბაზებში შესაძლებელი იქნება როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო ტურნირების გამართვა,“** — თქვა ირაკლი ქარსელაძემ.



◉ ჩემპიონის ქამრით



# ოქტაგონიდან — სამშობლოში

**UFC-ის უმსუბუქესი წონის ქართველი ჩემპიონი მერაბ დვალიშვილი სიტყვის კაცი აღმოჩნდა და ტიტულის მოხვეჭიდან მალევე რამდენიმე დღით სამშობლოს ხანგრძლივი განშორების შემდეგ ესტუმრა.**

სასწაულია, აბა რა — 4-მილიონიან ქვეყანას იმდენივე გვირგვინოსანი ჰყავს 8 წონიდან, რამდენიც 200-მილიონიან ბრაზილიას (შეგახსენებთ, რომ თებერვალში სანუკვარ ქამარს ქვემსუბუქ წონაში **ილია თოფურია** დაეუფლა), ამიტომ სავსებით ლოგიკურია ის აღტყინება, რომლითაც გულშემატკივართა ზღვა არმიამ თაობის კერპს საზეიმო დახვედრა მოუწყო.

ალალიცაა — მან ხომ კარიერა ამერიკაში მშენებლობაზე მუშაობით დაიწყო და ოქტაგონზე აღიარებამდე ურთულესი გზა გაიარა. საწყენი მხოლოდ ისაა, დაუკრეფავში რომ გადააბიჯა და სტალინისადმი საკუთარი დამოკიდებულებით ელემენტარული უწიგნურობა გამოავლინა. თუ ვინმე იტყვის, სად ეცალა წიგნის საკითხავადო, პარიზის ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონ **ილია სულამანიძეს** მიბაძოს, რომელიც არც მალავს, რომ, გარდა მუსიკალურ ინსტრუმენტებთან მეგობრობისა, მიუხედავად გადატვირთული კალენდრისა, სისტემატურად ეცნობა მხატვრულ ლიტერატურას. თუმცა, ინტელექტს ხომ ყველას ვერ მოთხოვ.

სხვათა შორის, სახელმწიფო ამჯერადაც არ დაიხევს უკან რჩეულთა მატერიალური წახალისებისგან და, პრემიერის გადაწყვეტილებით, ორივე ტრიუმფატორი თითო მილიონი ლარით დაჯილდოვდება.

ასე რომ, კეისარს კეისრისა!

◉ ზღაპრული უქმეები

# მეტყველი ციფრები

**ახლო წარსულში საშემოდგომო გამოცდის გამოყოლება ცუდი სწავლის სინონიმს წარმოადგენდა, მაგრამ, რომ იტყვიან, დრონი იცვალნენ და ამჯერად ქართული ლეგიონის არნახული საფეხბურთო უქმეები გვსურს გახაროთ.**

დიახ, ძნელი გასახსენებელია, ყოფილა კი ოდესმე შემთხვევა, როცა ერთბაშად 13 გოლითა და 5 შედეგიანი გადაცემით გამორჩეულიყვნენ უცხოურ კლუბებში მოთამაშე ჩვენი თანამემამულენი? ჰოდა, ასეთ ფონზე ვერანაირ ახსნას, თუ არა ბოღმას, ვერ მოვუძებნით შურიანი ოპოზიციის ქირქილს იმასთან დაკავშირებით, რომ ქართული ოცნების საარჩევნო სიაში ამჯერად ვერ ვხვდებით დიდი წარმატებით მოღვაწე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თავკაცს **ლევან კობიაშვილს.** გვსურს გულები გავუხეთქოთ უსამშობლო აგენტურის წარმომადგენლებს და ვაუწყოთ — სახელოვანი ვეტერანი უეფას პრეზიდენტობისთვის აპირებს საკუთარი კანდიდატურის წამოყენებას და წინასწარ მოიმარაგეთ შესაბამისი მედიკამენტები — ემანდ მისი დაწინაურების შემთხვევაში კარდიოლოგიურ კლინიკას არ ეწვიოთ.

ბუნებრივია, ჩვენებურთა მორიგ საგმირო საქმეებზე დეტალურად საუბარს რამდენიმე გვერდი არ ეყოფა, ამიტომ ამჯერად მხოლოდ მოქმედ პირთა და შემსრულებელთა მშრალი სტატისტიკით შემოვიფარგლოთ.

**იტალია.** სერია ა. ნაპოლი — მონცა 2:0. **ხვიჩა კვარაცხელია** — გოლი. **საფრანგეთი.** ლიგა 1. ნანტი — სენტ ეტიენი 2:2. **ზურიკო დავითაშვილი** — ასისტი. **ავსტრია.** ბუნდესლიგა. ლინცი — შტურმი 1:2. **ოთარ კიტეიშვილი** — გოლი. **ესპანეთი.** ლა ლიგა 2. ლეანტე — ალმერია 4:2. **გიორგი ქოჩორაშვილი** — გოლი და ასისტი. ბურგოსი — გრანადა 2:2. **გიორგი წიტაიშვილი** — გოლი. **გერმანია.** მე-2 ბუნდესლიგა. კიოლნი — კარლსრუე 4:4. **ბუდუ ზივზივაძე** — ასისტი. **საბერძნეთი.** სუპერლიგა. ოფი — პანეტოლიკოსი 1:2 **ლევან შენგელია** — ასისტი. **ნიდერლანდები.** პირველი დივიზიონი. დე გრააფსხაფი — ვიტესი 3:1. **ირაკლი ეგოიანი** — გოლი. **ბოსნია.** I ლიგა. სარაევო — შიროკი ბრიეგი 3:3. **გიორგი გულიაშვილი** — დუბლი. **აშშ.** მლს. ფილადელფია — ატლანტა — 1:1. **საბა ლობჟანიძე** — გოლი. **მოლდოვა.** სუპერლიგა. დაჩია — შერიფი 1:3. **ვლადიმერ მამუჩაშვილი** — ჰეთ თრიქი(!). **ჩეხეთი.** შანს ლიგა. იაბლონეცი — ჰრადეც კრალოვე 2:0. **ვლადიმერ ჯანტურიშვილი** — ასისტი. **აზერბაიჯანი.** პრემიერლიგა. ზირა — ქიაფაზი 3:0. **დავით ვოლკოვი** — გოლი. **უზბეკეთი.** პროფლიგა. ყიზილყუმი — მეტალურგი 1:0. **ელგუჯა ლობჟანიძე** — გოლი.



მოკლედ, ეს ის შემთხვევაა, როცა მშრალი ციფრები მრავალსიტყვაობაზე გაცილებით მეტყველია და ვენდოთ მათ!

და ბოლოს: რადგან წერილი ქართველ ლეგიონერთა გოლუხვ ზღაპარს მივუძღვენით, ჯვაროსანთა უახლოეს მეტოქეს — უკრაინასაც დავუთმოთ ყურადღება, რომელიც ერთა ლიგის ჯგუფური რაუნდის მე-3 ტურში 11 ოქტომბერს პოლონეთის ქალაქ პოზნანში გვიმასპინძლებს. როგორც ამ გუნდის თავკაცის სერგეი რებროვის არჩევანიდან ირკვევა, ჩვენთან ტრავმების გამო ვერ ითამაშებენ მალინოვსკი და ზინჩენკო, ხოლო იარმოლენკოს საკითხი მოგვიანებით გადაწყდება.

◉ ძლევაი საკვირველი!

# მარადიული დღე-სასწაული

**ხვალ 3 ოქტომბერია — ქართული ფეხბურთის სანიშანსვეტო თარიღი, როცა 45 წლის წინათ, 1979-ში თბილისის დინამომ მაშინდელი ჩემპიონთა თასის გათამაშების საპასუხო რაუნდში (პირველი მატჩი — 1:2) საკუთარ მოედანზე, კოკისპირულ წვიმაში (ანუ, როგორც ამბობდნენ, ინგლისურ ამინდში) თვით ლივერპული დააჩოქა — 3:0 და მერვედფინალში გავიდა (გოლები: გუცაევი, შენგელია, ჩივაძე — პენალტით).**

სწორედ იმ ისტორიულ საღამოს შეამზადა **ახალკაცისა** და **ყიფიანის** გენიამ ნოყიერი ნიადაგი დიუსელდორფის 1981 წლის ტრიუმფალური 13 მაისისთვის. გვახსოვდეს ძლევაი საკვირველი!




◉ ლეგენდა

# ძალიან ადრე...




**უკურნებელმა სენმა კიდევ ერთი გამოჩენილი სპორტსმენის სიცოცხლე შეიწირა — 58 წლისა თავის ტვინის კიბოთი გარდაიცვალა ლეგენდარული კონგოელი კალათბურთელი დიკემბე მუტომბო, რომელმაც დაცვაში ფილიგრანული თამაშით სამშობლოს საქვეყნოდ გაუთქვა სახელი.**

აფრიკელმა თვითნაბადმა ტალანტმა ნბა-ში 1991 წელს შეაბიჯა და შთამბეჭდავი კარიერის განმავლობაში დაახლოებით 3200 დაფარებით დიდოსტატური თამასა დაუტოვა კოლეგებს!

◉ ორიოდე სიტყვით

**ფარიკაობა**

**თბილისი.** კადეტ მოხმალავეთა საერთაშორისო ტურნირი „ევროპის თასი“. ვაჟები. **ოქრო** — გიორგი ურუშაძე. მან ჯგუფში 6-დან 5 ბრძოლა მოიგო არაბ, აზერბაიჯანელ და 3 თურქ მეტოქესთან, ხოლო პლეიოფში ზედიზედ დაამარცხა თანამემამულე დავით ჯიმშელეიშვილი, კვლავ 3 თურქი და აზერბაიჯანელი მუშკეტერები. **ბრინჯაო** — საქართველოს ნაკრები



გუნდურ შეჯიბრებაში (გიორგი ურუშაძე, დავით ჯიმშელეიშვილი, გაბრიელ ონიანი, კონსტანტინე ზუფა).

**პლაჟის ფეხბურთი**

**თბილისი.** საქართველოს ჩემპიონატი. **ვაჟები.** ფინალი. სტუ 1 (ალექს ზაქაიძე, ალექს ქაჩიბაია) — სტუ 2 2:1. **ქალები.** ფინალი. ბათუმი 1 (ანკა თვაური, ჯული სანაძე) — ბათუმი 2 2:0.

**კალათბურთი**

**ესპანეთის** ლიგა ენდესა. პირველი ტური. ტენერიფე — ბასკონია 88:80. **გიორგი შერმადინი** — 10 ქულა, 4 მოხსნა, 1 დაფარება 20 წუთში. ლეიმა კორუნია — მადრიდის რეალი 86:85(!). **ბექა ბურჯანაძე** — 9 ქულა, 3 მოხსნა 26 წუთში.

**კურიოზი**

**კოლუმბია.** 20-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ფინალი. ჩრდილოეთ კორეა — იაპონია 1:0. ეს აზიელთა მე-3 ტრიუმფია(!).

# შემოდგომის წყალტუბო – 2024




**სახალხო დღესასწაულის „შემოდგომის წყალტუბოს“ ფარგლებში 28 სექტემბერს სხვადასხვა კულტურული, სპორტული და გასართობი ღონისძიებები გაიმართა.**

საზეიმო ვითარებაში გაიხსნა დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის ძეგლი. იმერეთის სახელმწიფო რწმუნებულმა **ლევან ზალკალიანმა**, პირველმა მოადგილემ **ლევან სანიკიძემ**, პარლამენტარმა **ზაზა ლომინაძემ**, ადგილობრივი თვითმმართველობის პირველ პირებთან ერთად საგანგებო სიტუაციებისა და სამხედრო აღჭურვილობის საჩვენებელი სივრცეები დაათვალიერეს და წყალტუბოელებს დღესასწაული მიულოცეს.



ქალაქის მთავარ დღესასწაულთან დაკავშირებით წყალტუბოში იმყოფებოდნენ დამეგობრებული ქალაქების: შილუტეს, სალდუსის, სალსომაჯორეს, იუნიევოს, უნგენის, გალაცისა და რიზეს დელეგაციები. იტალიის დელეგაციის წარმომადგენელმა კრისტინა სერვინმა წყალტუბოს დროშასა და გერბზე გამოსახული სიმბოლოებით, ასევე, კურორტის სავიზიტო ბარათად ქცეული ძველი არქიტექტურული ნიმუშების მახასიათებლებით შექმნილი შარფის პრეზენტაცია წარმოადგინა. მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა ცნობილი ქართველი მხატვრების შედევრები წარადგინეს. გაიმართა თეატრალიზებული წარმოდგენები, მოეწყო ახალგაზრდული და ტურისტული სივრცეები, გამოფენები, ჩატარდა კლასიკური მუსიკის კონცერტი.

საპატიო მოქალაქეების დაჯილდოების ცერემონიაზე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერმა **გენადი ბალანჩივაძემ** შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა და ერთიან, ძლიერ, მშვიდობიან საქართველოში ცხოვრება უსურვა. წყალტუბოს საპატიო მოქალაქის ტიტული გადაეცათ ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტს, **მეუფე იოანეს**, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრს **დავით ფაცაციას**, საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარეს **ირაკლი ლექვინაძეს**, ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრს **კოба ნარჩემაშვილს**, მშენებელ-ინჟინერს, ენერგეტიკოსს, მკვლევარს **თენგიზ ჯიმშელეიშვილს**, საზოგადოება „ძველი წყალტუბოელების“ თავმჯდომარეს, თვითნასწავლ ხელოვანს **გელა ხუნწარიძეს**, წყალტუბოს თერმული წყლების სამედიცინო დეპარტამენტის დირექტორს **ნანა გვიშიანს**, მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს მფლობელს, ქვიტირის სკოლის პედაგოგსა და არაერთი საერთაშორისო პროექტის ავტორსა და მონაწილეს **კახაბერ ჩაკვეტაძეს**, რაიონული საავადმყოფოს პედიატრს **ნუნუ ლექვთაძეს**, კულტურის ცენტრთან არსებული ანსამბლის ლოტბარს **ირაკლი შენგელიას**, არაერთი თაობის აღმზრდელს, პირველი საჯარო სკოლის პედაგოგს **იზო ჯანგავაძეს**, დასავლეთ საქართველოს ტაეკვანდოს ფედერაციის პრეზიდენტს, ღირსების ორდენის მფლობელს **ზურაბ სალუქვაძეს.** საზეიმო ვითარებაში, ახალსახლობა მიულოცეს სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახების წარმომადგენლებს, რომლებსაც წელს 8 ახალი სახლი აუშენეს. გალა კონცერტზე ქორეოგრაფიული და მუსიკალური ნომრები წარადგინეს წყალტუბოს კულტურის ცენტრთან არსებულმა ანსამბლებმა „ნადურმა“ და „ივერიამ“, სალდუსის ქალთა გუნდმა „ლაიქსნემ“.

საზეიმო კონცერტს განსაკუთრებული ხიბლი შესძინა ლეგენდარული ანსამბლის „ქართული ხმების“ მიერ გაჟღერებულმა ქართულმა მელოდიებმა, მუსიკალური ნომრები შეასრულეს ბენდმა „ჩვენი“, და ღამის შოუს ბენდმა.

კონცერტი დიჯეის პროგრამით და ფოიერვერკით დასრულდა. „შემოდგომის წყალტუბოს“ დღესასწაულმა სხვადასხვა თაობის წყალტუბოელები, ამ ქალაქის სტუმრები, წყალტუბოს განვითარებისთვის წლების განმავლობაში მზრუნველი ადამიანები გააერთიანა.

KVIRA.GE



# აფხაზები პირდაპირ საუბრობენ იმაზე, რომ რუსებმა გაგვყიდესო!..

მეექვსე გვერდიდან

ჩვენ მზად ვართ კარგ ურთიერთობებზე, თუმცა ქართველებმა უნდა გაიგონ, რომ ეს ტერიტორიები დამოუკიდებელია, ხოლო ხელს შეგიწყობთ, რომ ე.წ. მეზობლებთან კარგი ურთიერთობა გქონდეთ – დაახლოებით ეს იკითხება ლავროვის განცხადებაში. სჯობს „ოცნებამ“ უპასუხოს და თქვას, რომ მათთვის ლავროვის განცხადება ძალიან უცნაური და მიუღებელია. საქართველო არ ცნობს ამ ტერიტორიების დამოუკიდებლობას. კი ბატონო, თქვას, რომ საქართველომ თავის დროზე დაუშვა შეცდომები, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ გამო, თავის მოქალაქეებთან აფხაზებთან და ოსებთან კომუნიკაციის საშუალება დაკარგოს. ამიტომ „ოცნებამ“ უნდა დაგმოს ლავროვის ეს შემოთავაზებული ე.წ. მშვიდობის ფორმულა, – ამბობს ზაქარეიშვილი.

მისივე თქმით, ლავროვი „ოცნებას“ საერთოდ წყალს უწურავს და პირდაპირ ამბობს, რომ საქართველოს და რუსეთს შორის არანაირი მოლაპარაკება ან გეგმა არ არსებობს იმისთვის, რომ ოკუპირებული ტერიტორიების პრობლემა საბოლოოდ გადაწყდეს. ლავროვმა ყველანაირი ის ნარატივი დაანგრია, რომლის მიხედვითაც საქართველო გამონახავდა საერთო ენას რუსეთთან, რათა ოკუპირებული ტერიტორიების პრობლემის მოგვარება მომხდარიყო.

ესაუბრა
**ლიკა ბერიკაშვილი**

# პირველად სამტრედიის ისტორიაში „სამტრედიობა“ აღინიშნა!

**სამტრედიის მუნიციპალიტეტში პირველად, მუნიციპალოტეტის მერის დავით ბახტაძის მხარდაჭერით სახალხო დღესასწაული „სამტრედიობა“ გრანდიოზულად აღინიშნა. ინფორმაციას სამტრედიის მერია ავრცელებს.**

მათივე ცნობით, მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა გასართობი სანახაობები, ღონისძიების ფარგლებში მოეწყო საბავშვო, შემეცნებითი, გასართობი და სპორტული სივრცეები, ქუჩის კარნავალი, ანიმატორების შოუ. გამოიფინა ხელნაკეთი ნივთები და ხალხური რეწვის ოსტატთა ნამუშევრები.

„სამტრედიობა 2024“-ის დასასრულ მოეწყო გალა-კონცერტი. ღონისძიების ფარგლებში, ასევე გაიმართა სამტრედიის საპატიო მოქალაქეების დაჯილდოების ცერემონია.





# ვიქტორ რცხილაძის ახალი თარგმანი

**გამოიცა გერმანელი ფილოსოფოსის, იოანე ჰესენის ნაშრომი სახელწოდებით „პროფეტიზმი. ბიბლიური წინასწარმეტყველები“.**


იოანეს ჰესენი
პროფეტიზმი
(ბიბლიური წინასწარმეტყველები)
გერმანულიდან თარგმნა
ვიქტორ რცხილაძემ
ვიქტორ რცხილაძე
ფილოსოფიური წერილები
თბილისი 2024

**ი. ჰესენი თავის ნაშრომს ასე იწყებს: „მთელი ზღვა არის გადაჭიმული ელადასა და პალესტინას შორის. ასევე – სულის სამეფოში. პლატონიზმიდან პროფეტიზმში გადასვლისას სრულიად ახალ სამყაროში შევდივართ“.**

წიგნი თარგმნა ჩვენმა ცნობილმა ფილოსოფოსმა ვიქტორ რცხილაძემ.

ამავე წიგნს დართული აქვს ვიქტორ რცხილაძის „ფილოსოფიური წერილები“. ზოგიერთ მათგანს იგი თავისი გარდაცვლილი მეგობრების ხსოვნას უძღვნის: თამაზ კვაჭანტირაძეს, მიხეილ მახარაძეს, ამირან ცანავას.

წიგნი დიდი ინტერესით იკითხება.

# ჩოხატაურში ავარიას 4 ახალგაზრდა ემსხვერპლა

**ჩოხატაურში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ოთხი ახალგაზრდა დაიღუპა. ჩოხატაური-ოზურგეთის ცენტრალურ გზაზე, სამების ხიდთან ერთმანეთს ორი მსუბუქი ავტომანქანა შეეჯახა.**

შემთხვევის შედეგად 4 ადამიანი დაიღუპა. 1 პირი მძიმე დაზიანებებით ჯანმრთელობის სახლ „გურიაშია“ გადაყვანილი და გადაუდებელ დახმარებას უწევენ.

# ქუთაისის აეროპორტში არადეკლარირებული ოქროს მონეტები გამოავლინეს...

**27 სექტემბერს, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო გამშვებ პუნქტში – „ქუთაისის აეროპორტი“, მებაჟე ოფიცრებმა ეჭვის საფუძველზე, უცხო ქვეყნის მოქალაქის, როგორც ფიზიკური, ასევე კუთვნილი ბარგის/ხელბარგის დეტალური დათვალიერების შედეგად, დიდი ოდენობით არადეკლარირებული ოქროს (საერთო წონა: 187.24 გრამი) მონეტები გამოავლინეს.**

შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, არადეკლარირებული საქონლის საბაჟო ღირებულებამ 43102.65 ლარი შეადგინა.

კანონდამრღვევი მოქალაქის საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა.



# მოზარდ მაყურებელთა თეატრი დანიაში

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივითა და ორგანიზებით, ასევე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და დანიაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით ქართული კულტურის დღეების ფარგლებში დანიის თეატრში „ავენი-ტი“ მოზარდ მაყურებელთა თეატრმა წარადგინა უილიამ შექსპირის „ოტელო“ (რეჟისორები დ. ხვთისიაშვილი და გ. მარღანია). ინფორმაციას კულტურისა და სპორტის სამინისტრო ავრცელებს.

სამინისტროს ინფორმაციით, სპექტაკლმა ევროპელი მაყურებლის დიდი მოწონება და ოვაციები დაიმსახურა.

„მოზარდ მაყურებელთა თეატრის სპექტაკლი არის უილიამ შექსპირის ცნობილი ტრაგედიის უჩვეულო ვერსია – თოჯინური სპექტაკლისა და ცოცხალი შესრულების სინთეზი. „ოტელოს“ თბილისური პრემიერა 2022 წლის ოქტომბერში გაიმართა.

სპექტაკლი მიეძღვნა კოტე მარჯანიშვილის დაბადების 150 და პეტრე ოცხელის დაბადების 115 წლის იუბილეებს.

თოჯინებიცა და დეკორაციაც პეტრე ოცხელის ესკიზების მიხედვით არის დამზადებული, რომლებიც მხატვარმა კოტე მარჯანიშვილის „ოტელოსთვის“ თითქმის ერთი საუკუნის წინ შექმნა.




# საქართველოს პირველი საკოლექციო ევროს ბანკნოტი




**საქართველოს პირველი საკოლექციო ევროს ბანკნოტი მსოფლიოს უდიდეს საერთაშორისო ფულის გამოფენაზე ოფიციალურად წარსდგა ნიდერლანდების ქალაქ მაასტრიხტში – ევროს მშობლიურ ქალაქში. ეს არის შეზღუდული (ლიმიტირებული) 5000-ცალიანი გამოცემა, რომელიც შეიმუშავა და დაფინანსა კომპანია თღრშღlιც-მა და შეიქმნა ევროპის ცენტრალური ბანკის თანხმობით.**

საკოლექციო ბანკნოტის შექმნაზე ბანკნოტების მსოფლიოს წამყვანი დიზაინერებისა და

სპეციალისტების ჯგუფი 6 თვის განმავლობაში მუშაობდა ცნობილ ქართველ მხატვარ გია ჯაფარიძესა და კალიგრაფიის ქართველ ოსტატ დავით მაისურაძესთან ერთად. საკოლექციო ბანკნოტი მდიდარია სიმბოლური ელემენტებით, რომლებიც საქართველოს მრავალსაუკუნოვან, მდიდარ კულტურულ და ისტორიულ მემკვიდრეობას განასახიერებს. დავით გარეჯის ლავრა, ალავერდის მონასტერი, ქართული მეღვინეობის სიმბოლო – ქვევრი, ქართული კალიგრაფია – სწორედ ამ მნიშვნელოვან ისტორიულ წარსულს წარმოაჩენს პირველი ქართული საკოლექციო ბანკნოტი „ევრო 8000“. 8.000 იმიტომ, რომ სწორედ 8.000-წლიანი ისტორია აქვს მეღვინეობის უწყვეტ წარმოებას. ბანკნოტი მიეძღვნა საქართველოს, ქართულ მეღვინეობას, ასევე, საქართველოს ევროკავშირთან ასოცირებულ წევრობას.

8.000-ევროიან ბანკნოტზე დაცულია ყველა ის სტანდარტი, რაც მიმოქცევაში არსებულ ევროს უნდა ჰქონდეს. თუმცა, ეს ბანკნოტი მიმოქცევაში არ იქნება. ის მალე გავა ჰონგ კონგის საკოლქეციო გამოფენაზე. მოსალოდნელია, რომ თითოეული ბანკნოტის ფასი 100.000 ევროს გადააჭარბებს.




# მოგზაურობა ბახის მუსიკის სამყაროში

**8 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზი იოჰან სებასტიან ბახის საორღანო მუსიკას დაეთმობა.**

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ინფორმაციით, საქართველოს წამყვანი მუსიკალური ბიზნესკომპანია „ბრავო რექორდსის“ ინიციატივით გაიმართება კონცერტი – „მოგზაურობა იოჰან სებასტიან ბახის საორღანო მუსიკის სამყაროში”.

უდიდესი გერმანელი კომპოზიტორის ნაწარმოებებს შეასრულებს ცნობილი გერმანელი ორღანისტი, კლავესინისტი და დირიჟორი, ლინცის და შტუტგარტის სახელმწიფო მუსიკალური უნივერსიტეტების პროფესორი იორგ ჰალუბეკი, რომელიც შუა საუკუნეების ინსტრუმენტებზე – ორღანსა და კლავესინზე, მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო შემსრულებლად ითვლება. ამავე დროს იორგ ჰალუბეკი არის შუა საუკუნეების მუსიკის ერთ-ერთი უდიდესი მკვლევარი. მისი აღმოჩენილია რამდენიმე მივიწყებული ოპერა და ბაროკოს პერიოდის მრავალი მუსიკალური ნაწარმოები.




# უნიკალური აღმოჩენა ავსტრალიის უდაბნოში

**გეოლოგიური მონაცემები ადასტურებს, რომ მსოფლიოში ყველაზე დიდი დარტყმის კრატერი ავსტრალიის უდაბნოშია დამარხული.**

600 კილომეტრის სიგანის კრატერი, დაახლოებით 500 მილიონი წლის წინ ჩამოყალიბდა და შესაძლოა, დედამიწაზე პირველი

გეოლოგიური კვლევების თანახმად, კრატერის ცენტრი ჩრდილოეთ ტერიტორიაზე, ულურუს (აიერსის კლდე) და კონერის მთას შორის მდებარეობს. შიდა კრატერის დიამეტრი დაახლოებით 600 კილომეტრია. არსებობს უფრო ფართო რგოლი, რომლის



მასობრივი გადაშენება გამოიწვია.

დამოუკიდებელი მკვლევარი დენიელ პ. კონელი და ვირჯინიის თანამეგობრობის უნივერსიტეტის დოქტორი არიფ სიკდერი თვლიან, რომ მათ იპოვეს მტკიცებულება, რომელიც MAPCIS-ის, მასიური ავსტრალიური პრეკემბრიულ-კემბრიული დარტყმის სტრუქტურის არსებობას ადასტურებს.

დიამეტრი 2000 კილომეტრია, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს შიდა რგოლთან.

ეს მნიშვნელოვნად აღემატება სამხრეთ აფრიკის ვრედეფორტის კრატერის ზომას, რომელიც დაახლოებით 300 კილომეტრის სიგანისაა და მსოფლიოში ყველაზე დიდ დადასტურებულ დარტყმის კრატერად ითვლება.

# დათო მაღრაძის „ბარაქიანი მიწა“ ივრითზე




დათო მაღრაძის პოემა „ბარაქიანი მიწა“, რომელიც ნიკოდმა და გალი-დანა ზინგერებმა ივრითზე თარგმნეს, ამჯერად ისრაელის საუკეთესო კულტურული პლატფორმის – გაზეთი Haaretz-ის ყურადღების ცენტრში მოექცა.

ისრაელში ქართველი პოეტი ძალიან მოსწონთ

**უცხოური ვალუტის კურსი:**

**აშშ დოლარი - 2.7300; ევრო - 3.0532;**
**ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.6552;**
**100 რუბლი - 2.9334; თურქული ლირა - 0.0799;**
**აზერბაიჯანული მანათი - 1.6059;**
**1000 სომხური დრამი - 7.0433.**

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი,**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

დამკაბადონებელი
**გიორგი მახარაშვილი.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე,
აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 616932

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 4 ოქტომბერს**